პატარა დედაკაცი

1

- სოფიო ქალო, ახალი ამბავი გაიგე? - ჰკითხა ექიმ ქალს სამკურნალოს გამგე ექიმმა სოლომონ ბარავიძემ.

- არა, არაფერი არ გამიგია. ხომ არავინ მოგვიკვდა?

- სიკვდილი ახალი ამბავი არ არის სამკურნალოში. მაგაზე უკეთესს გეტყვი: ახალი მთავარი დოსტაქარი მოდის. აბა გამოიცანი, ვინ დანიშნეს?

- ღმერთმანი, არ ვიცი. ნეტა ვის დანიშნავდნენ?

- ვითომ არ იცის!

- არ ვიცი მეთქი.

- მაშ გეტყვი: შენი ქმარი ამირან რიმანიძე დაგვინიშნეს.

- ბატონო სოლომონ, - ოდნავ ხმა აიმაღლა და შუბლიც აიკრა სოფიომ, - ჩემს ქმარს სხვა სახელი და გვარი აქვს...

- კარგი, შენი ჭირიმე. - გააწყვეტინა სოლომონმა. - უბრალოსთვის ნუ დამედევნები ხოლმე. მეც ვიცი, რომ შენს ქმარს სპირიდონი ჰქვიან, ხოლო გვარი თქვენი - რონველია. მხოლოდ ერთი სიტყვა შემცდა: ნაქმრევის მაგიერ ქმარი წამომცდა. ეხლა ამისთვის ხომ არ ამიკლებ, ქალო?

რა თქმა უნდა, ექიმი ქალი არ აიკლებს "ჩაჩანაკ სოლოს" - თავის მფარველს, რომელიც მამად გამოადგება, მაგრამ პატარა დედაკაცს მაინც ეწყინა: სოლომონ ბარავიძეს სიტყვა "ქმარი" არ უნდა ეხმარა.

- კარგი, ნუ აპილპილდი. მოდი, შევრიგდეთ.

სოფიომ ფაფუკი მოვლილი ხელი გაუწოდა საკოცნელად, ხოლო მეორე ხელი შეევრცხლილ თმაზე გადაუსვა და წაიბუტბუტა:

- ნუ მაჯავრებ ხოლმე, თორემ...

მერმე დაჯდა, თეთრი ხალათი შეისწორა და ამოიოხრა:

- ღმერთმანი, არაფერი არ მესმის, სადაც კი მივედი, ყველგან ამირანზე ლაპარაკობენ. ვისაც შევხვდი, ყველას ისევ რიმანიძე აკერია პირზე. იმ კაცს ჩემზე კარგად არავინ არ იცნობს, ამიტომ...

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! - შეაწყვეტინა ბარავიძემ. - მჯერა, ოღონდაც, შენ ძალიან კარგად უნდა იცნობდე ამირანს. ორ წელიწადს უწექი გვერდით. მაგრამ, ჩემო ფუნჩულავ, მე ისიც ვიცი: თქვენ არ გაიყრებოდით, ამირანს რომ ქმრობა შესძლებოდა.

- სამწუხაროდ, ეს ამბავი მთელმა ქვეყანამ გაიგო. რა ვუყო, ჩემი ბრალი არ არის.

- არც არავინ გამტყუნებს, ფუნჩულა ქალო. ჩვენ, ექიმებმა, სხვებზე მეტი ვიცით, ამიტომ ზნეობის საზომიც სხვანაირი გვაქვს. რასაც სხვები ღალატს ეძახიან, ზოგჯერ ჩვენ ბუნებრივ მოვლენად მიგვაჩნია. ხალხი ამბობს: გარყვნილიაო! ჩვენ კი ვიტყვით: ბუნებამ თავისი გაიტანაო. ბრბო გაჰკივის: უზნეობაა! ჩვენ კი ვიცით, რომ აქ სისხლის კანონმა გაიმარჯვა. მორჩა და გათავდა!

სოლომონ ბარავიძემ ერთხელ კიდევ იხელთა და "ჯერ კიდევ გამოუცდელ" ექიმ-ქალს გრძელი დარიგება მისცა. ეუბნებოდა: ადამიანს სიბრძნე ამშვენებს, ესე იგი დაკვირვება, გამოცდილება და ბუნებრივი ჭკუა. მშრალი ცოდნა მხოლოდ ჭკუის სამკაულია, ამიტომ ბარავიძეს ჭკუიანი, გამოცდილი და დაკვირვებული უმეცარი ტეტია ურჩევნია წიგნებით გატენილს დიპლომიან "დურაკს", რომელიც მხოლოდ ნარევია კერპი ჯორის, დაგეშილი თუთიყუშისა და გახედნილი მაიმუნისა. უნდა მივუმატოთ თავხედობა უმეცარისა, კადნიერება ტუტუცისა და სიბრიყვე ველურისა, სადაც ყოველივე ყირამალა დგას ხოლმე.

მადლობა უფალსა, სოფიო ოცდაექვსი წლისა ძლივს იქნება! ამიტომ მას ამაზე მეტიც არ მოეთხოვება. სიბრძნე და გამოცდილება მოსდევს მხოლოდ სიბერეს, რომელიც ჯერჯერობით "შეწევნითა ღვთისათა", ძალიან შორს არის ექიმ ქალისაგან.

- ისიც ცხადია, რომ ჭკუა და დაკვირვება შენისთანა ლამაზსაც მოუხდება.

- მადლობელი, ჩემო ჩაჩანაკო. მაგრამ ვერ გავიგე, რისთვის მომაგონე ეხლა ჭკუა და დაკვირვება?

- ვერ გაიგე? გაიხსენე რაზე ვლაპარაკობდით. რაც სხვამ ცოდვად ჩაგითვალა, ის ჩემთვის ისეთივე ბუნებრივი მოვლენა არის მეთქი, როგორც სეტყვა და თოვლი, წვიმა და მზის დაბნელება, გათენება და დაღამება. ამიტომ მე ქმრის გამოცვლა ცოდვად არ მიმაჩია...

სოფიომ გაიცინა, პაწაწინა, სავსე და წითელი ტუჩებიდან მსხვილი კბილები გამოიჩინა და მერმე სთქვა:

- თუ მაგისთანა ცინიკური აფორიზმით ჩემი გამართლება გინდა, დიდად გმადლობ, მაგრამ ქმრის გამოცვლა ჩვენს დროში არავის აღარ გააკვირვებს.

- აკი გითხარი, პატარა დედაკაცო, არ გამტყუნებ მეთქი. ღმერთმა დამიფაროს, რომ შენი მსაჯული ვიყო. რამდენჯერ გითხარი და ეხლაც გიმეორებ: თავით-ბოლომდე მართალი ხარ მეთქი.

- მაშ რად გაიხსენე ჩემი წარსული?

- იმიტომ, რომ ერთი გარემოება მაკვირვებს: სამივემ აქ მოიყარეთ თავი: შენც, შენმა უწინდელმა და ეხლანდელმა ქმრებმაც. "მენაჟ ა ტრუა" - სამთა ოჯახი არ დაარსდეს.

- სოლომონ! - წყრომით წამოიძახა სოფიომ და პაწაწა მუშტი მაგიდას დაჰკრა: - დღეს ხუმრობის გუნებაზე არა ვარ.

სოლომონ ბარავიძემ იგრძნო, რომ პატარა დედაკაცი მართლა ხუმრობის გუნებაზე არ იყო, და უმალვე კილო გამოიცვალა:

- კარგი, გენაცვა, კარგი. ნუ გაცხარდი. მაინც საკვირველია, რაღა ჩვენ დაგვინიშნეს რიმანიძე? შენი ქმარი სპირიდონი პირველი კანდიდატი იყო.

- არც მე მესმის, რად აუარეს გვერდი სპირიდონს. თუმცა, მეორე მხრით, საკვირველი არაფერია. ერთი თვეა, რაც ამირანი დაბრუნდა და უკვე მთელი საქართველო აალაპარაკა. "რიმანიძე დიდი მეცნიერია. რიმანიძე ბედნიერი დოსტაქარია. რამანიძემ სთქვა, რიმანიძე მოვიდა, რიმანიძე წავიდა, ადგა, დაჯდა, დაამთქნარა". ახა-ხა! ამირანი და დიდება?! დავიჯერო?

სოლომონი სოფიოს ნაძალადევ სიცილსა და კილოს არ აჰყვა.

- უნდა დაიჯერო. მართლა ღირსეული კაცია.

ბარავიძის კილომ ქალის სიცილი თითქო მახვილით მოჰკვეთა. სოფიომ ტუჩები შეიკეცა და მოხუცის დაფიქრებულ სახეს დააშტერდა. მერმე თვითონაც გამოიცვალა ხმა:

- მაშ დაგიჯერო!

- გეუბნები, ქალო, კაცური კაცია მეთქი: ჭკუიანი, მცოდნე, ნიჭიერი, დინჯი და ძლიერი.

- დინჯი და ძლიერი? - გაიკვირვა სოფიომ. - ამირანი და დინჯი? ძლიერი? მაშ სასწაული მომხდარა. ასეთი გარდაქმნა?!

- შენს ქმარს... შენს ნაქმრევს უწინ არ ვიცნობდი, ეხლა კი დავაკვირდი და გავიცანი. ძლიერი ადამიანია მეთქი.

სოფიომ მხრები აიშმუშნა და წამოდგა:

- ღმერთმა ხელი მოუმართოს.

- ჯერ არსად არ შეგხვედრია?

- არა, ჯერ არ მინახავს. დღეს ხომ არ მოვა?

- ნახევარ საათში აქ იქნება. ხვალინდელი დღიდან კი მუშაობასაც შეუდგება.

- როდის? ხვალ?

- დიაღ, ხვალ რამდენიმე რთული საქმე აქვს. ბევრნი დავესწრებით. შენც მოდი. გამოგადგება.

- მადლობელი ვარ. მე არ მცალიან. - სთქვა სოფიომ და უფრო სწრაფი ბაკუნით წავიდა კარებისაკენ, ვიდრე ჩვეულებრივ დადიოდა ხოლმე, კარის გამოსაღებად ხელი გაიშვირა, მაგრამ ჰაერშივე შერჩა: კარი მეორე მხრიდან გაიღო და ხუთი წლის უნახავი ნაქმრევი და ნაცოლარი ერთმანეთს პირისპირ შეეფეთნენ.

სოფიო გუნებაში ადრევე შეემზადა ამირანის დასახვედრად, - ცივი და გულგრილი სალამი მიეცა, მაგრამ ნაქმრევის მოულოდნელმა შეფეთებამ უმალვე დაურღვია გეგმა: სოფიო ქურდობაში დაჭერილ ბავშვივით გახევდა და გაშრა. მერმე გზა მისცა და ძლივს წაილუღლუღა:

- მობრძანდით...

- თქვენ მობრძანდით, ქალბატონო სოფიო, - გზა მისცა ამირანმაც.

სოფიოს ბარავიძე მიეშველა. წამოდგა და კარებისაკენ გაეშურა:

- მობრძანდით, ბატონო ამირან, მობრძანდით.

ოთახში მაღალი და სრული ადამიანი შემოვიდა: სუფთად ჩაცმული, წვერულვაშგაპარსული და ისეთივე შუქიანი, როგორც ის ოთახი იყო....

სოფიომ გზა მისცა. სამი ნაბიჯი დაიწია უკან და კედელს მიეყუდა.

- ბოდიშს ვიხდი, - სთქვა სუფთა მკვრივი ხმით ამირანმა და სოფიოს მიჰყვა. - სოფიოს ვახლავართ.

თავი მოიდრიკა, ნაცოლარს ფუნთუშა ხელზე აკოცა და ბარავიძეს მიუბრუნდა:

- დილა მშვიდობისა, ბატონო სოლომონ!

- გამარჯვება, ბატონო ამირან, გამარჯვება! მობრძანდით... დაბრძანდით... ძალიან მესიამოვნა, რომ ასეთი დიდი დოსტაქარი დანიშნეს ჩვენს სამკურნალოში.

დასხდნენ და ბაასი გააბეს. გონდაბნეული სოფიო კი ისევ კედელთან იდგა. ამირანს შესცქეროდა, ყურს უგდებდა და უკვირდა:

"ეს კაცი ჩემი ნაქმრევია?! ის დამდნარი ჩონჩხი, ფიცხი, სნეული და თითქმის

მომაკვდავი ამირანია, რომელმაც თავისი გვარი მომცა, ორი წელიწადი მაცხოვრა თავის ჭერ-ქვეშ და კინაღამ ჭკუაზე შემაცდინა?! ამ ქვეყნად თურმე სასწაული ხდება ხოლმე. არ მეგონა, ვერ დავიჯერებდი, რომ მომაკვდავი წამოდგებოდა".

და ყურს უგდებდა რიმანიძის ლაპარაკს და ფართოდ გახელილი თვალებით, გულის ფანცქალით, აცქვეტილი ყურებით და ოდნავ გახსნილი პირით ათვალიერებდა ოდესღაც განწირულ ნაქმრევს.

ამირანმა სოფიოს გადაჰხედა, მიიწია და მერმე ბარავიძეს ისე შეჰხედა, თითქოს ეუბნებოდაო: ეს ქალი... უხერხულია... ან დაბრძანდეს, ან გავიდეს.

ორივენი მიუხვდნენ სათქმელს: სოფიოც და ბარავიძეც.

- სოფიო, ქალო, დაბრძანდით, - მიაძახა უკვე მიმავალ სოფიოს გამგე ექიმმა.

- მადლობელი ვარ. არა მცალიან... მეჩქარება, - უპასუხა სოფიომ და გავიდა.

II

ამირან რიმანიძემ სოფიო შვიდი წლის წინათ შეირთო. ამირანი მაშინ ოცდახუთი წლის ახალგაზრდა ექიმი იყო, ხოლო სოფიო ის იყო მაშინ შეუდგა ექიმობის შესწავლას. ორივენი ერთ სახლში იდგნენ და ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ. ახალგაზრდა სტუდენტი ქალი კვირაში ორჯერ მაინც შეირბენდა უსაქმო ექიმთან და ეტყოდა:

- ბატონო ამირან, მიშველეთ.

ამირანიც ხალისით ჰშველოდა და ზოგჯერ ორ-ორ საათს ანდომებდა ქალისთვის გაუგებარის ახსნა-განმარტებას.

მაშინ სოფიო ცელქი, უდარდელი და მხიარული ქალი იყო და მაშინაც დიდი თვალები, გრძელი წამწამები, სავსე მკერდი, შავი დალალები და ხალვათი გული ჰქონდა, თვითონაც სავსე იყო სიცოცხლის ხალისით, წითელი სისხლით, ათასნაირი ლანდებით და წყურვილით. მთელი დღე ბეღურა ჩიტივით დაჰხტოდა და ქედანივით ღუღუნებდა.

თითქო თავისთავად მოხდა მოსახდენი. ანცი სოფო ანცად ჩაუვარდა მკლავებში ამირანს და იმ დღიდან პატარა და სისხლით გატენილ ტუჩებს ვაჟის კოცნა უფრო შეუყვარდათ, ვიდრე ანატომიის დასაზეპირებელი ცმაცუნი, ხოლო სავსე და მოკლე თითებს ამირანის ხუჭუჭი თმის ალერსი უფრო ეხალისებოდა, ვიდრე სქელი და გაუგებარი წიგნების ფურცვლა.

რამდენიმე თვის შემდეგ სოფიო ისე შევიდა ამირანის ოთახში, როგორც საკუთარ სახლში: თეთრი ატლასის კაბით, თეთრიყვავილებით და თეთრივე იმედებით, ხოლო მძიმე წიგნები, ძველი გვარი და უბიწო ვიწრო საწოლი ძველ ბინაზე დასტოვა.

იმ ღამეს პატარძალი ჯერ მაყრიონმა არ დააძინა. მერე გალეშილი ამირანი შემოვიდა და თავისი ხვედრი მოითხოვა. დედოფალი გულუხვად და ხელგაშლით დაუხვდა, მაგრამ მეფემ ვერ იმეფა: გასატანი ვერ გაიტანა და მალე ახვრინდა.

"რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, ამირანი მთვრალია", - გადასწყვიტა გულნაკლულმა პატარძალმა და ძლივს ჩასთვლიმა.

მეორე დღეს ისევ მეფე-დედოფლის ღამე დადგა. მაყრიონი წავიდა. ამირანი გამოფხიზლდა, მაგრამ ისედაც ფიცხი და თვალმიმქრალი ექიმი იმ ერთ დღეში უარესად შეხმა და მოიღრუბლა. "შევრცხვები", - გადასწყვიტა მან გულში და მართლა ერთხელ კიდევ შერცხვა.

მერე წამოდგა და მეორე ოთახში ჩუმად რაღაც წამალი დალია. ცოტა ხნის შემდეგ აიშალა, გამოცოცხლდა და იმძლავრა.

მეორე დღეს სოფიომ იმ წამლის ძებნაში მთელი ბინა გადაჰქექა და აივანზე ტახტის მავთულში ორი შუშა და შპრიცი იპოვნა. წამლები გასინჯა, დაჰსუნა, მაგრამ ვერაფერიც ვერ გაიგო. ნაპოვნი ისევ შეინახა და ამირანს უთვალთვალა.

ამირანი იმ დღეებში ნაცემი ძაღლივით დაბარბაცებდა. შიშნაჭამი, მოწყვეტილი და პირქუშიანი იყო. საღამო-ჟამზე ახალგაზრდა ქმარი მოუსვენრად იყო. მერე აივანზე გავიდა და იქიდან თავის ოთახში შეიპარა. სოფიომ დილანდელი ნაპოვნი გასინჯა. შპრიცი და შუშები იქ აღარ იყო. ამირანი ხელმეორედ გავიდა აივანზე და დაბრუნდა. ცოტახნის შემდეგ გუშინდელი ცვლილება დაეტყო: თანდათან შეხურდა და გამხიარულდა.

ღამით კი, სანამ დაწვებოდნენ, სოფიომ ამირანის პირიდან ისევ გუშინდელი წამლის სუნი იგრძნო.

"ალბათ ისევ ის წამალი დალია", - გეშით მიაგნო მან და მალე დარწმუნდა, რომ მისი ქმარი შუშხუნას ჰგავდა: წინდაწინვე წამლებით იტენებოდა, მერე უცაბედად იფეთქებდა და უმალვე ჩაქრებოდა.

იმ ღამიდან ერთმანეთის ჯვარცმა დაიწყეს.

"არ შემიძლიან", - ჩაიდო თავში ახალგაზრდა ქმარმა და მოულოდნელ გოლგოთას შეუდგა, თან ცოლიც გაიყოლია.

ქმარმა თვითონაც კარგად იცოდა თვითშთაგონების ავი ძალა და "არ შემიძლიან"-ის შედეგი და ამიტომ ბოროტ სულს ჯერ ნებისყოფა დაუხვედრა.

"შემიძლან! შემიძლან!" - გაჰკიოდა მისი გონება და ამირანსაც იმედი ეძლეოდა, მაგრამ, როცა დრო მოვიდოდა, ბოროტი ორეული მხოლოდ ერთხელ ჩააწვეთებდა:

"არ შეგიძლიან... ისევ შერცხვები". და ღონემიხდილი, დაწურული და სირცხვილისაგან ალესილი ქმარი სიბნელეში იწვოდა. სტიროდა და ოფლიან თმებს იგლეჯდა.

თავის ცოდვით და უბედო ქმრის სიბრალულით ნაწამები სოფიოც სტიროდა და ატირებულ მამაკაცს არიგებდა:

- გენაცვალოს სოფიო! ალბათ ავადა ხარ. ექიმს ეჩვენე.

ამირანი ჟინიანობდა და აფრიკული წამლებით, ბრაზით, ურჩობით და კაპასობით ებრძოდა უჩინარ ორეულს, რომელმაც იმედგადაწყვეტილი და დაოსებული ექიმი საბოლოოდ ჩაბღუჯა და მოსრისა.

ერთხელ სოფიომ ის წამლები მოიტაცა და ამირანის მეგობარ ექიმთან გაიქცა. სპირიდონ რონველმა წამლებს დაჰსუნა და შუბლიც აიკეცა.

- ეს მორფინია, ეს კი...

და მეორე წამალიც დაასახელა. მერმე მოჰყვა და ისედაც შეშინებული ქალი ისე დააფეთა, რომ შემდეგ თვითონვე გაუხდა დასამშვიდებელი.

- შეიძლება ჯერ დაგვიანებულიც არ იყოს. იქნება მოვარჩინოთ. ოღონდ არ უნდა დავიგვიანოთ. საქმეს დღესვე უნდა შევუდგეთ, შენც უნდა დამეხმარო, - უცებ "შენ"-ზე გადავიდა სპირიდონი, - თორემ მარტო მე ვერაფერს გავხდები, - უთხრა ექიმმა და იმ დღიდან სოფიომ და რონველმა პირი შეჰკრეს და ამირანის მოსარჩენად შეითქმნენ.

უბედურ ამირანს ეშველება, თუ სოფიო სპირიდონს ყველაფერს დაუჯერებს და სავსებით დაემორჩილება. სოფიოს სხვა გზა არცა აქვს, ოღონდ სპირიდონმა უბრძანოს და ყველაფერს შეუსრულებს.

იმ დღიდან მართლა ისე გაჰყვა თავის მხსნელს, როგორც ყურმოჭრილი და შებორკილი მონა.

ამირანს ცოდვის გამჟღავნებისა რცხვენოდა. ურჩობდა, იხერხებოდა, ილეოდა. ბოლოს მაინც მოტყდა და ცოლს დაუთმო. იმავე საღამოს სპირიდონი მიიწვიეს.

ამირანმა ლუღლუღით უამბო ყოველივე. სპირიდონმა სოფიო მოიშველია, წამლები გადაღვარეს, შპრიცი დაამტვრიეს და ამირანს ფიცი დაადებინეს, რომ აფრიკულს ახლოსაც აღარ მიუდგებოდა.

ამირანმა იმ დღიდან გულმოდგინე მკურნალობა დაიწყო. მაგრამ განკურნება არ დაეტყო. გოლგოთის გზა უფრო გამძაფრდა. გაგრძელდა და ამ გზაზე ქანცგამოლეული ქმარი თავის ცოლს დავარდნილ ბავშვივით მიათრევდა.

მოდრეკილი და მოღრუბლული ამირანი საღამოობით სადღაც მიდიოდა და ისევ მალე

ბრუნდებოდა - პირმცინარე და გამარდებული. მაგრამ აფეთქებულ შუშხუნას ისევ უიმედო წვალება და სასოწარკვეთილთა ღამისთევა მოსდევდა.

სოფიო ეჭვმა შეიპყრო. გასაღიზიანებელი წამლის სუნი აღარ მისდიოდა. არც იმ წამლის შედეგი მოსჩანდა. "მაგრამ, - ფიქრობდა, - მგონი ისევ მორფინს უნდა ხმარობდეს".

ეს ეჭვი სპირიდონს გაუზიარა. ისევ მოიყარეს თავი და ამირანს ბრალდებულივით დაჰკითხეს. ამირანი ფიცულობდა: იმ დღიდან ის "დაწყევლილი" თვალითაც აღარ მინახავსო.

ხანგრძლივი კვნესისა და ჩურჩულის შემდეგ გადაწყვიტეს: ამირანი და სოფიო დროებით გაიყრებიან. ქმარი აბასთუმანში წავა და ერთ თვეს დაისვენებს. დღეში ათ კვერცხს და ორ გირვანქა ხორცს შესჭამს, მუდამ ფიჭვის ოფლს ისუნთქავს, ივლის, იბანავებს, მოსუქდება და დაბრუნდება. სოფიოც ქალაქში დაისვენებს და მოკეთდება.

- საიმისო არაფერი არა გჭირს. ნერვები უნდა დაიმშვიდო. ეს არის შენი ერთადერთი სენი. გაზეთსაც კი არ მიეკარო. შენც ექიმი ხარ და იცი, ჩემი დარიგება აღარ გინდა. მერე სოფიოც გაშინჯა და უთხრა:

- ამირანი აბასთუმანში წავა, შენ კი აქ დარჩები. წამლობა შენც გჭირდება, მაგრამ ამაზე ამირანს არაფერი არ უთხრა, თორემ შენს დარდსაც თან წაიღებს და ისევ ისეთი დაბრუნდება, როგორიც მიდის.

მეორე დღეს ამირანი აბასთუმანში წავიდა, ხოლო სოფიო საღამოზე სპირიდონს ეწვია.

ექიმი რონველი მარტოხელა კაცი იყო. შუა ტანისა, ჩასხმული, სქელკისერა, მრგვალბეჭება და მგელკაცივით შავპირა. პატარა და მუდამ ზეთში ამოვლებული თვალები უსიამოვნოდ უბრწყინავდა, ხოლო ხშირი და შავი წვერ-ულვაშით შემოსილი თხელი ტუჩები ავი ღიმილით უღიმოდა. ლაპარაკის დროს ჩიფჩიფებდა, ხელებს ყოველთვის იფშვნეტავდა და ისე დადიოდა, თითქო ვიღაცას ეპარებაო.

სოფიოს კარები თვითონვე გაუღო და პატარა ოთახში შეიყვანა. ჯერ ბედზე ჩამოუგდო სიტყვა და ისეთ მაჯლაჯუნად გამოიყვანა იგი, რომ პატარა დედაკაცი შიშით და ძრწოლვით აივსო.

სოფიოს ავი ბედი ჰქონდა. ყოვლად უვარგისი ქმარი შეჰხვდა. ამირანი ფუღურო და უნაყოფო კაცია. სქესობრივ უძლურებას საშინელი შედეგი მოსდევს. სოფიო ერთ წელიწადში დაილევა და ისეთი მელანქოლია შეეყრება, რომ შესაძლებელია მან თავისი ჭაბუკი სიცოცხლე საგიჟეთში დაასრულოს. საწყალი ქალი უკვე შეყვითლდა, დადნა და მოიბუზა.

- უბედურობა ის არის, რომ მე ამირანის სრული განკურნების იმედი არა მაქვს. - ეუბნებოდა სპირიდონი.

სოფიო ცრემლს იწმენდავდა. მაშ დაიღუპა ახალგაზრდა ქალი! მაშ ეხლავე დაქვრივდა საწყალი!

- არა, გენაცვალოს სპირიდონი. არც ეგრეა საქმე.

გაყრა? ძალიანაც ძნელია. გაქცევა? სოფიოს სახელი გაუტყდება. ახლოსაც აღარავინ მიეკარება. მერე წადი და დაუმტკიცე მთელ ქალაქს, რომ ამირანი უძლურია, ცვედანია, არა, არც ერთია საჭირო და არც მეორე.

- მაშ რას მირჩევთ? როგორ მოვიქცე?

ნუ ჩქარობს სოფიო. მიიხედ-მოიხედოს, სხვა ქალებსაც დააკვირდეს და თვითონვე მიჰხვდება.

სოფიოც მიუხვდა:

- არასოდეს! არასოდეს!

- ნუ ჩქარობ მეთქი, ქალო. ყოველივე თავისთავად მოხდება.

მაგრამ თუ სოფიომ "არასოდეს" დაიჟინა, თუ გაკერპდა და დაიგვიანა, სპირიდონს ნუღარ დააბრალებს. თუმცა, აკი გითხრა ქმრის მეგობარმა: ნუ ავჩქარდებითო.

მერმე სიტყვა ბანზე შეაგდო. სოფიოს ფაფუკ მკლავში რაღაც შეუშხაპუნა, ჩაი და ტკბილი ღვინო დაალევინა და ხვალისთვის დაიბარა.

წვეთწვეთად სწამლავს ექიმი სოფიოს. დღე არ გავა, რომ ხუთიოდე მაგალითი არ დაუსახელოს.

- ასე ცხოვრობენ ელენე ბარიშვილისა, მარო კულაძისა, თეკლე ბარიძე და ათასი სხვაც.

არა, არა და არა! სოფიო პატიოსანი ქალია. სოფიოს მაინც უყვარს უბედური ქმარი. ამირანი განიკურნება და მათი ცხოვრებაც თავის კალაპოტში ჩადგება.

- გიყვარს თუ გებრალება? - ნართაული ღიმილით ეკითხება სპირიდონი.

სოფიო აილეწა, მაგრამ პასუხი უმალვე მიახალა:

- კიდევაც მებრალება და კიდევაც მიყვარს.

სპირიდონს ქალის ხმაში გაბზარულის კილო მოესმა და ამაზე მეტიც არ უნდოდა.

- ჰო... რა თქმა უნდა, მაგრამ...

- ხომ გჯერათ ამირანის მორჩენა?

- შეიძლება მორჩეს, მაგრამ...

ეჭვისა და შიშის სამსალი დღითიდღე წვრილად ჰბურღავს "ავადმყოფ" დედაკაცს და დარეტიანებული სოფიოც ისე დაბორიალებს უჩინარ ხაფანგში, როგორც გალიაში პირველად ჩამწყვდეული ფრინველი.

ამირანი მოულოდნელად დაბრუნდა, მთელი დღე გახარებული იყო. სოფიოს არწმუნებდა: სენი მოვიშორე და ასე კარგად ბავშობაშიაც არა ვყოფილვარო.

მაგრამ იმავე ღამეს ორეული ისევ მოერია.

და ცოლ-ქმარი კვლავ გოლგოთის გზას შეუდგნენ:

ხანი მიდიოდა და ცოლის სიყვარულიც თან მიჰქონდა. და სიყვარულის ნაცვლად სოფიოს გულში თანდათან სიბრალული და ზიზღი გუბდებოდა.

ერთ საღამოს სოფიო ჩვეულებრივ ეწვია სპირიდონს.

ექიმმა ჩვეულებრივ წამალი შეუშხაპუნა, მერმე ჩაი დაალევინა და ტკბილეული შესთავაზა. სოფიომ ჯერ არაფერი არ იგრძნო, მერმე კი ისე უცნაურად შეფიცხდა და აიშალა, თითქოს ძარღვებში ადუღებული სითხე ჩაუსხესო. მხოლოდ ბინდ-ბუნდად დაამახსოვრდა იმ ღამის თავგადასავალი.

- თავი დამანებე... გამიშვი... არ მინდა, - ლუღლუღებდა პატარა დედაკაცი, მაგრამ ვეღარ ინძრეოდა და თანდათან ცხელ ბურანში დნებოდა.

ამირანის ნაცვლად სრულყოფით სპირიდონმა იმეფა, მაგრამ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ იმძლავრა, ისიც ჯადოსნობით და სოფიოს უნებურად გაიტანა.

ხანი ისევ მიდიოდა. ამირანი თითქოს მომაგრდა, მაგრამ ვერ განიკურნა. სიყვარულშიც ისეთივე ფიცხი და თავშეუმაგრებელი გამოდგა, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში იყო. მალე ისევ მოსწყინდა და თავთავქვე დაეშვა, თან ცოლსაც მიათრევდა და აწამებდა.

სოფიომ სპირიდონის სახლიდან სამუდამოდ აიკვეთა ფეხი. ამირანის მეგობარი კვლავ ქალის შეტყუებას სცდილობდა, მაგრამ ვეღარ დააჯერა.

- ქალო, შენც დაიღუპები, - ეუბნებოდა.

- რა ვქნა, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი, - უპასუხებდა სოფიო და მართლა იღუპებოდა.

მისი მაღალი სიცილი თანდათან უნდილმა ღიმილმა შესცვალა. შემდეგ ღიმილიც წაიშალა. უნაყოფო ღიზმა ძილი დაუკარგა. ჩატყვივებული თავი დილდილით ბალიშიდან ძლივსღა აჰქონდა. კანიც უარესად შეუხმა და შეუჭკნა. ბნელი შეიყვარა და

დუმილი შეიჩვია. ზოგჯერ მთელ საღამოს წყვდიადში იჯდა და კედელს შესცქეროდა.

სპირიდონი კვლავ მოდიოდა და თითქო თავის ჯერს ელოდებოდა.

ერთხელ სოფიომ შიგნეულობაში შვილის ფაჩუნი იგრძნო.

იმ დღიდან სიცოცხლის აზრი იპოვა და გამოცოცხლდა. ფეხაკრეფით დადიოდა და გულისფანცქალით ელოდებოდა, ზოგჯერ კი ავი აზრი უღრღნიდა მოდუნებულ თავს.

"ნეტა ვისია, ამირანისა თუ სპირიდონისა?"

იქნება ვერც კი გაიგოს. შესაძლებელია დედას დაემსგავსოს. მაგრამ ვაითუ სპირიდონს ჰგავდეს! მერე, რას იზამს სოფიო? რას იფიქრებს ამირანი? ესღა აკლია უბედურს!

და შიშით გატენილი დედაკაცი მთრთოლვარე გულით ნატრულობდა, რომ განგებას მისთვის თავიდან აეცილებინა შხამიანი ხიფათი. ეხლანდელი დარდიც ეყოფა საბრალო დედაკაცს და უბედურ ამირანს.

ჟამი მოვიდა და სოფიოს ახალი სამსალი მოუტანა. ბავშვი პირწავარდნილი სპირიდონი გამოდგა. დედამ უმალვე იპოვნა მსგავსება: იგივე თავის-ქალა, იგივე ცხვირი, იგივე დიდი ხალი მარცხენა ყურის ძირში. თვეები იანგარიშა და იმ უვიწყარ დღეს მოახვედრა.

გახარებული ამირანი ჯერჯერობით ვერაფერს ამჩნევდა და დაჟინებით იმეორებდა:

- მე ვარ! მე მგავს! ჩემია, ჩემი!

და თავის ტანში რომ სასიცოცხლო ძალა აღმოაჩანა, თვითონაც გამოცოცხლდა და გაიშალა.

- შენია... შენა გგავს. - აგონებდა ცოლიც და სიმხნევისა და ნუგეშის ბანგით ათრობდა. მაგრამ მაინც შიშით თრთოდა და შვილის ყოველდღიურ ცვლილებას კანკალით ადევნებდა თვალყურს:

"ვაი თუ თვალი აეხილოს ამირანს! ვაი თუ მიჰხვდეს და დაინახოს!".

სპირიდონმა პირველად რომ გაშინჯა ბავშვი, სოფიოს გადაჰხედა და ამირანის შვლი თვალებით დაიჩემა:

"ჩემია, ჩემი!"

მაგრამ ხმა არ ამოიღო და იმ დღიდან ისე იქცეოდა, თითქოს იმ ბავშვს ვერც კი ამჩნევდაო.

ამირანის პირველი აღტაცება და მამობრივი სიყვარული თანდათან შენელდა და მიჰქრა.

გული ჩაიკეტა და თავის ოთახს ისე მიეკრა, თითქო იმ ოთახის მოძრავ ავეჯად გადაიქცაო. სულში უცნაური შიში ჩაუძვრა და შავი ნაღველი ჩაესახლა. თვალებს დაჭერილი კურდღელივით აცეცებდა და ბებერივით ცახცახებდა. უწამლოდ ამირანი ვერ ისვენებდა: ჰბორგავდა, ჰკვნესოდა და ბურანში წასული, უცნაურს გაჰკიოდა. ტანი უმიზეზო ტკივილებით უბჟუოდა, სუნთქვა ეკვრებოდა და გული უფანცქალებდა.

ერთხელ საწოლი ოთახიდან თავისი ლოგინის გადატანა მოინდომა, მაგრამ სოფიომ არ დაანება: ეშინოდა, ღამით არაფერი მოუვიდეს, ან თავისთავს რაიმე უბედურება არ დაჰმართოსო.

ერთხანს სოფიოს აუხირდა: "ეგ ბავშვი შენ კი არ გააჩინე, ვიღაცა თათარმა მოგვიგდოო".

მერმე გაჩუმდა და წინანდელზე უარესად მოიბუზა.

ერთხელ სოფიომ დაინახა: ამირანს ბავშვი მუხლებზე დაესვა და გულმოდგინედ შინჯავდა. უცებ ყურის ძირს ჩააშტერდა და გახევდა. დიდხანს ათვალიერა დიდი ხალი, მერე ბავშვი ლოგინზე დააგდო, ააყვირა და თავის ოთახში გავარდა.

და იმ დღიდან დაიჟინა:

- ეს ბავშვი შავპირა აფთარმა შემოგვაპარა.

სოფიოს სპირიდონი გაახსენდა: მართლა შავპირა იყო. ქუშიანი, საზარელი ღიმილი და მიმპარავი სიარული ჰქონდა და მართლა აფთარს - მგელკაცსა ჰგავდა.

ამირანმა დიდხანს აწამა სოფიო აფთარით. მერმე სინანულს და გლოვას მოჰყვა. ცოლს დაყუდებული ბერივით შესჩიოდა. მე დაგღუპე, შენი ღირსი არა ვარ. გათხოვდი და თავს უშველე. მე კი ბერად შევდგები და ცოდვებს მოვინანიებო.

ჯერ ტაატით დაჩოჩავდა, მერმე ტახტს მიეჭედა და იმ ხალიჩას დაემგვანა, რომელზედაც გაშოტილი იწვა ხოლმე.

როდესაც მორფინს მიიღებდა ხოლმე, აღტკინებას მძიმე ძილი მოსდევდა.

შემდეგ ბერად შედგომის აზრიც ამოიგდო თავიდან და გადასწყვიტა: ღმერთი ცოდვას არ შემინდობს და ჩემ ბერობას არ მიიღებს, ამიტომ თავი უნდა ჩამოვიხრჩოო.

და ყელზე ყელსაბამს, ხელსახოცსა და პირსახოცს იბამდა.

მიჩენილი მოსამსახურე და სოფიო ნიადაგ ფხიზლობდნენ. ძალით აცმევდნენ, აჭმევდნენ და თავიანთი შვილივით ატარებდნენ. ზოგჯერ გულის სევდა მოერეოდა ხოლმე: მოუსვენრად დარბოდა ოთახში, ხელებით აწვალებდა ტანისამოსს, კანს იფხაჭნიდა, თითებს იკვნეტდა და თმას იგლეჯდა.

ერთხელ სპირიდონმა ჟურნალიდან ამოჭრილი სურათი მოუტანა: უდაბნოში შავ ქვაზე შავი და პირქუში დედაბერი ზის, წვეტიანი ნიკაპი გამხმარ ხელზე დაუბჯენია. მეორე ხელში მკვდარი თავი უჭირავს. ფეხებზე ჭირიანი ძაღლი ჰყავს მიბმული. იქვე გაცრეცილი და უფოთლო ხე დგას, ხოლო ხეზე საზარელი და უცნაური ღამის ფრინველი ზის, - ბაიყუში, მიკიოტი, ბუკნაჭო თუ ჭოტი. აქა-იქ დაცოცავენ გველი, მორიელი, ობობა, ნიანგი და გველეშაპი. შავი ქვის უკან პირშავი აფთარი, ანუ როგორც სპირიდონმა განმარტა, მგელკაცა, ანუ მიწის მგელი, ანუ უზარმაზარი, ატუზულა.

"ანუ სპირიდონი" - დაუმატა გუნებაში პატარა დედაკაცმა.

სურათის ქვეშ დაბეჭდილია წარწერა: "მელანქოლია" და სპირიდონის ხელით მიმატებული ჰქონდა: "ანუ გულს ნაღველი, ანუ გულის სევდა".

ამირანი გაფაციცებით სინჯავდა სურათს. მერე განაცხადა:

- გენიალურია!

სპირიდონმა გაიღიმა: ნასროლი ისარი მიზანს მოჰხვდა და მეგობარმაც უმალვე დაუდასტურა:

- გენიალურია!

ეხლა ამ სურათზე აიშალა ამირანი. დღედაღამ დასცქეროდა და ბურტყუნებდა:

- გენიალურია, გენიალური!

და სოფიოს ეხვეწებოდა: ვინმე მხატვარს ეს სურათი საღებავით დაახატვინეო.

ამირანს მამა ჰყავდა, სახელად დავითი, შეძლებული ორთაჭალელი მესახლკარე და მებოსტნე. ხშირად მოვიდოდა ამირანთან, იკვნესებდა, იტირებდა და წავიდოდა.

ერთხელ დავითმა და სპირიდონმა ახალი ექიმი მოუყვანეს. იმ ექიმმა სიარულს მოუხშირა. კარს ჩაიკეტავდა და ამირანს ებაასებოდა.

ორიოდე კვირა გავიდა.

ერთ დილას ამირანის მამა დავითი მოვიდა და სოფიოს უთხრა:

- შვილო, მე საღამომდე აქ ვიქნები. შენც ტუსაღივით ჩაკეტილი ხარ. წადი, გაიარე, შენი დედ-მამა ნახე.

სოფიოს გაუხარდა, შვილი წაიყვანა და წავიდა.

ნასადილევს ისევ დაბრუნდა. შინ არავინ არ დაუხვდა: არც დავითი, არც ამირანი.

მოსამსახურემ დაბეჭდილი კონვერტი მიაწოდა. ცახცახით გახსნა და წაიკითხა:

"ჩემო თვალის სინათლევ! ჩემო ერთავ! ჩემო ტურფა! ჩემო უდარებელო მარგალიტო! მე მივდივარ, ან მოვკვდები, ან მოვრჩები. შენ შენს თავს უშველე. სიცოცხლე ჯერ წინ გიდევს. გათხოვდი, გაბედნიერდი და სამუდამოდ დაივიწყე ის ადამიანი, ვინც ეგ ჭაბუკი სიცოცხლე მოგიწამლა და კინაღამ საფლავამდე მიგიყვანა. თუ გული დასძლიო, მაპატიე... ჩვენი გაყრის საქმე ვექილს ბოდრიშვილს აქვს მინდობილი. ფულსაც გიტოვებ, უჯრაში ჩავდე. შენ იცი, რომ სოსო ჩემი შვილი არ არის, ამიტომ გვარიც ნამდვილმა მამამ ან სხვა ვინმემ უნდა მისცეს. მისი მონათვლა არ მინდოდა. მიზეზიც ცხადია.

მე იმიტომ მივიპარები, რომ შენს ტანჯვას ვერ ვუძლებ. ასე მიბრძანეს ექიმმა და მამამ. მამა თავზე მადგას და მაჩქარებს. ნუ მეძებ, მშვიდობით! სამუდამოდ! მაინც შენი, მუდამ შენი ამირანი“.

სოფიო გასროლილ ქვასავით გავარდა სამზარეულოში:

- რა იქნა?.. საით წავიდნენ?.. როდის წავიდნენ?

მოსამსახურემ არაფერი არ იცის. სამნი გავიდნენ და ეტლით წავიდნენ.

- მესამე ვინ იყო?

- ვიღაცა ახალგაზრდა, არ ვიცნობ.

სოფიო უჯრას ეცა. იქნება იქ იყოს რამე ნიშანი? უჯრაში ნიშრობის ბეჭედი და ფული - ბევრი ოქროს ფული და თვალ-მარგალიტი ჰყრია, მეტი არაფერი.

"არამზადებო! საზიზღრებო! ქურდებო!"

რა ოხრად უნდა სოფიოს თქვენი ფული! ამირანი დაუბრუნეთ. ამირანი! მართალია: სნეულია, გიჟია, ცვედიანია, მაგრამ მაინც სოფიოს ქმარია, სოფიოსი! თუ მომაკვდავია, დაე, ისევ სოფიოს მკლავზე მოკვდეს. ისევ ცოლი დამარხავს და მიწასაც მიაყრის.

ჰოი, საძაგლებო, ავაზაკებო, ქურდებო!

ფული და განძეულობა ხელის პარკში ჩაიყარა და კიბეზე დაეშვა.

"დავითს ეცოდინება. ვათქმევინებ".

და ეტლი ორთაჭალისკენ გააქანა.

დავითი ბაღში ხეხილს სხლავს. გაპარვა უნდოდა, მაგრამ ვეღარ მოახერხა. სოფიო ნადირივით მივარდა, რომელსაც ბოკვერი წაართვეს:

- ამირანი სად არის?

- წავიდა. - მორცხვად ბურტყუნებს მოხუცი.

- სად წავიდა?

- იქ, უცხოეთში. მოსარჩენად წავიდა.

- მერე მე? მე რას მიშვრებით?

დავითმა სხვანაირად გაიგო სოფიოს ამონაკვნესი:

- შენა? შენ რა გიშავს. აი შეჰხედე: გუშინ ამოდენა სახლ-კარისა და ბაღ-ბოსტანის პატრონი ვიყავი, დღეს კი ჩემივე მამულში სხვისი მოჯამაგირე ვარ. ფული ზოგი, ამირანს გავატანე, ზოგიც შენ დაგიტოვეთ. თუ არ გეყოს...

- ფული, ფული! - შეაწყვეტინა ამირანის ნაცოლარმა. - რა ოხრად მინდა თქვენი ფული! აი შენი ფული! აი, აიღე... წაიღე... დაიჭი... დაიჭირე.

და გაოცებულ მოხუცს ოქროსა და თვალ-მარგალიტს ხელებში სჩრიდა და უბეში უყრიდა.

- ქაღალდის ფული არ ფასობს, ამატომ ოქრო გიყიდე. - მაინც თავისას გაიძახოდა მოხუცი.

- ქმარი წამართვი და ფულით მამშვიდებ? არ მინდა შენი ფული, არა! ქმარი დამიბრუნე მეთქი, ქმარი.

- ამირანი წავიდა. - იმეორებს მებაღე.

- მითხარი, სად წავიდა, სად?

- აკი გითხარი, უცხოეთში წავიდა მეთქი.

- მერე, მარტომ როგორ გაუშვი ავადმყოფი?

- კაცი გავაყოლე. მორჩება და დაბრუნდება.

- რომ მორჩეს კიდევაც, სოფიოს რაო? რად მოიფიქრეთ გაყრა? რისთვის დააშორეთ ცოლ-ქმარი? რად დაიობლეთ ბავში?

ბავშვის გახსენებაზე დავითი აიზღარბა:

- ბავშვს მამაც აქა ჰყავს და დედაც. მოუარეთ და შეინახეთ.

სოფიო უცებ მოტყდა და მოიღუნა. მაშ ამასაც სცოდნია სოსოს ვინაობა. ამასაც გაუგია სოფიოს სირცხვილი. ხმას ვეღარ იღებს ნაცოლარი. პირი შავი აქვს და სახელი უწმინდური, ამიტომ უნდა გაჩუმდეს, სამუდამოდ უნდა გაჩუმდეს, პირზე კლიტე დაიდოს, დარდი ჩაიხვიოს და გულის ნაღველიც გულშივე დაიგუბოს. სხვა აღარაფერი არ დარჩენია ამირანის ნაცოლარს. მაშ წავა და თავის ბედს გაჰყვება.

ბარბაცით და ძაგძაგით მოდის დაქვრივებული სოფიო. ორივე ხელი სახეზე აქვს აფარებული. მხრები და ტუჩები არ ემორჩილება და უთრთის. ვეღარც ფეხები მოაქვს. იქვე ნამორი ჰგდია. ისე ჩამოჯდა ზედ, თითქო იმ ნამორს მოედოო. ჩამოჯდა და გულს შვება მისცა.

შინ რომ დაბრუნდა, მზე უკვე ჩასული იყო. ბინდბუნდში სპირიდონი ძლივს იცნო. კუნჭულში მგელკაცასავით მოკუნჭულიყო. ალბათ თავის ხვედრისთვის მოსულიყო. ასე მოძუნძულებს შავპირა აფთარიც, როცა სადმე უპატრონო ლეშს მიაგნებს ხოლმე.

ეხლა სოფიოც უპატრონოა. დაობლდა და დაქვრივდა. დედ-მამას ვეღარ დაენახვება. შვილის აუგი ალბათ იმათაც გაიგეს, ან ხვალ-ზეგ გაიგებენ. ორი დაჲ ჰყავს სოფიოს, ორივე სხვაგან გათხოვილი. ძმაცა ჰყავს. ვექილია და ოჯახის პატრონი. ესენიც გაიგებენ. ან იქნება კიდევაც გაიგეს. აღარც ფული აქვს თავმინებებულ დედაკაცს. რაც ამირანმა დაუტოვა, სოფიომ წეღან მამამთილს მიაყარა.

უცებ პაწია სოსომ გაიღვიძა და ატირდა. დედა ძუძუს აძლევს, გულში იხუტებს და ღინღლიან თავს თბილი ცრემლით უსველებს, თან რაღაც გაუგებარს დაჰბუტბუტებს.

სპირიდონი კი მეორე ოთახში უზანზარივით დაძუნძულებს და ისევ თავისას ელოდება. მერე შემოაპარა, სოფიოს გვერდით ჩაკუნტდა და, ხელების ფშვნეტით ისე აბუტბუტდა, თითქო შეგირდებს უგულოდ გაკვეთილს აძლევსო:

- მოსამსახურემ ყველაფერი მიამბო... ავი დღე დაგიდგა, მაგრამ...

მაგრამ სოფიომ, რა თქმა უნდა, გული არ უნდა გაიტეხოს.

- ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა.

ისიც უნდა იცოდეს სოფიომ, რომ ის უპატრონო არ არის, პატარა დედაკაცს მეგობარი ჰყავს, გულითადი და გამტანი მეგობარი, - სპირიდონ რონველი. თუ ქალს გაუჭირდა, სპარიდონი გაიხსენოს და მიენდოს. ისიც სოფიოს ჭირის ურემში შეებმება და კამეჩივით გასწევს. მაშ ნუ ინაღვლებ სოფიო-ქალო. დამშვიდდი და მოისაზრე. არც სოსოა ობოლი.

- მამობას მე გავუწევ.

"ოღონდაც, ოღონდაც!" - ფიქრობს სოფიო და ეშინია, რომ სპირიდონმა თავის მამობა ხმამაღლა არ დაიჩემოს.

- სულ ერთია, სოსოს მამა "ის" არ იყო, - მაინც წამოაყრანტალა მიწის მგელმა.

სოფიო შეკრთა და აილეწა:

- ხმა, კრინტი! ეგ ამბავი აღარ გამახსენო, თორემ....

- კარგი, ქალო, კარგი, დამშვიდდი, მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ მაგ ბავშვის გვერდით მეც მეკუთვნის პატარა ადგილი. მეტი არაფერი.

მერმე შეუჩნდა და თავი მოაბეზრა, უნდა გავიაროთ, გაგრილდები და დამშვიდდებიო.

- შენს დღეში ჩავარდნილ დედაკაცისათვის ძალიან სასარგებლოა სიმშვიდე.

სოფიო დიდხანს იდგა უარზე. მერე კი დასთანხმდა და ტანთ ჩაიცვა.

სანამ სოფიო ემზადებოდა, სპირიდონი ამირანის დაობებულ ოთახში შევიდა. მძიმე სუნი იდგა. ოთახი აქოთებული იყო. კედელზე "მელანქოლია" ეკიდა, რომელსაც სპირიდონის ხელით წაწერილი ჰქონდა: "ანუ გულის ნაღველი", ექიმმა ფრთხილად ჩამოხსნა ის სურათი, დაჭმუჭნა და ჯიბეში ჩაიდო.

ერთი საათის შემდეგ ისევ შინ დაბრუნდნენ. სოფიომ მეტი ვერ გასძლო. კარებთან სპირიდონს ხელი გაუწოდა და....

- მშვიდობით იყავი, სპირიდონ. - და თითქმის გამოიქცა, რადგან ეშინოდა, ამირანის ადგილი არ მოითხოვოსო.

- ღამე მშვიდობისა, ჩემო კარგო. გული დაიმშვიდე და არხეინად დაიძინე. ხვალ კიდევ გნახავ.

მომთმენი და თავდაჭერილი კაცია სპირიდონი.

დღეს დღე მოსდევდა და კვირას კვირა. სპირიდონი ისე შეეჩვია სოფიოს ოთახს, როგორც საკუთარ სახლს.

- ეს ბინა სჯობია ჩემს ბინას, - უთხრა ერთხელ სოფიოს, ესე იგი, მეც აქ დავსახლდებიო.

მარტოხელა დედაკაციც ნელ-ნელა შეეჩვია და თვითონაც გაუშინაურდა. ფრთხილად მოითხოვდა სოფიოსაგან, მაგრამ სოფიო მიუკარებელი გამოდგა: მანძილი არ შეუმოკლა და თავის ოთახშიც მხოლოდ მაშინ შეუშვა, როცა რიმანიძის გვარი რონველით შესცვალა.

მერე დაიჟინა, ექიმი უნდა გავხდეო.

და კვლავ წინანდელ სქელ წიგნებს დაუბრუნდა.

III

ხანდახან სოფიოს ყურამდე ამბავი მოდიოდა:

- ამირანი განიკურნა... ამირანი მორჩა... ამირანი შესანიშნავი დოსტაქარი დადგა.

სოფიოს უკვირდა. ჯერ არ სჯეროდა. მერმე დაეჭვდა, დღეს კი ახლად დაბადებული ნაქმრევი საკუთარი თვალით დაინახა და გაოცებისგან - და კიდევ მიუგნებელი, იდუმალი და უცნაური მიზეზის გამო, - გაბრუვდა და გაშტერდა.

სოლომონ ბარავიძის ოთახიდან რომ გამოვიდა, ტალანში თავის ეხლანდელ ქმარს, სპირიდონს წააწყდა. ისიც იქვე მუშაობდა.

- ნახე. ამირანი? - ღიმილით ჰკითხა ქმარმა.

- ვნახე.

და ისევ უმიზეზოდ აილანძა.

- მერმე რა გითხრა?

- არაფერი. - მიუგდო ცოლმა შორიდან და წავიდა.

თავის პალატაში შევიდა და ავადმყოფებს ჩაუარა. ისე იყო დაბნეული, რომ ზოგს ძალიან კარგად ნაცნობ ავადმყოფს ეხლა ვეღარც კი სცნობდა და ეკითხებოდა:

- თქვენ როდის დაწექით? რა გტკივათ?

და დიდხანს ფიქრობდა, მანამ ქინაქინას ან ზეთს გამოუწერდა.

ზოგ საწოლთან გარინდული იჯდა და სადღაც შორს წასული იატაკს ან საბანს დასცქეროდა.

მისი თანაშემწე და ავადმყოფებიც ვეღარ სცნობდნენ თავიანთ ექიმს. თანაშემწე გულმოდგინედ სინჯავდა რეცეპტებს, არაფერი გაეპაროსო, ხოლო ავადმყოფები ახალ წამალს შიშით მოელოდნენ და ფიქრობდნენ:

"ხომ არ შესცდა? ხომ არაფერი აერია?"

სოფიო პატარა მაგიდას მიუჯდა და ავადმყოფების ისტორიებს დაუწყო წერა. მერმე კალამი ხელში გაუშეშდა, თვალი გაუშტერდა და გულისყური შორს სადღაც გადაუვარდა.

"რა მოხდა? როგორ მოხდა? ან რად მოხდა, რაც მოხდა?" - ეკითხებოდა თავის თავს. მაგრამ განვლილი გზა უსწორ-მასწოროდ იყო აგრეხილი და აპენტილი. ამბავი ამბავს

ვეღარ გადააბა, თავს ბოლო ვერ უპოვნა და თვითონაც თავის წარსულივით აირია და აწმყოსავით აიხლართა. უცებ ქალმა თავის თავს ჰკითხა:

"რა ვქნა, ეს რა მემართება? რამ ამრია? რად ჩავაცივდი წარსულს? იგი მოკვდა და აღარ დაბრუნდება. ან რად უნდა დაბრუნდეს? მე ამირანისთვის მაშინვე მოვკვდი, ისიც..."

ოდნავ წაიბორძიკა, მაგრამ უმალვე გაისწორა ფორხილი და მტკიცედ გადასჭრა:

"ისიც მკვდარია".

და მტკიცედ კიდევ გაიმეორა:

- დიახ, მკვდარია! მკვდარია-მეთქი!".

პაწაწინა მუშტი მაგიდას დაჰკრა და წერა განაგრძო:

"თამარა არნადიშვილი... ოცდაშვიდი წლისა... დაწვა ამა და ამ დღესა და თვესა... სჭირს ფილტვების ანთება".

მერმე მოაგონდა, რომ თამარა არნადიშვილი, მისი შორეული ნათესავი, იმ სამკურნალოში არასოდეს არ ყოფილიყო. სოფიომ კი თამარა ანუკაშვილის მაგიერ არნადიშვილა ჩაწერა.

გაიღიმა, დაწერილი წაშალა და ექიმებს წამოუდგა, რომელნიც სწორედ ამ დროს შემოვიდნენ.

სოლომონ ბარავიძე ახალს, მთავარ დოსტაქარს სამკურნალოს ათვალიერებინებს.

- რა თქმა უნდა, ტფილისი ბერლინი არ არის, არც საქართველო ჰგავს გერმანიას. მაგრამ ჩვენი სამკურნალო...

მაგრამ აქაც მუშაობენ, ფული აკლიათ, თორემ გერმანულ კლინიკებს აქაც დახსნიდნენ და ჩვენებურ ექიმებს იქაურ პროფესორებს დაატოლებდნენ.

ბარავიძეს ამირან რიმანიძე, სპირიდონ რონველი და იმ განყოფილების გამგე რევაზ სულარიძე მოსდევდნენ.

ამირანი სხვებზე მაღალია. მისი შავი ქოჩორი ყოველი მხრიდან მოსჩანს. ყველას თეთრი ხალათები აცვიათ.

სოფიო ექიმებს წინ მიუძღვის. თუ დასჭირდათ, ცნობა უნდა მისცეს, ამირანი ზოგ ავადმყოფს და ტემპერატურის ფურცელს აკვირდება, მერმე ერთ ავადმყოფთან შეჩერდა და ექიმ სულარიძეს ჰკითხა:

- ამის დიაგნოზი?

"რატომ მე არ მეკითხება?“ - გაიფიქრა სოფიომ და, რადგან სულარაძე შეყოყმანდა, თვითონვე უპასუხა:

- Ileus.

ამირანი დინჯად დადის, თავი მაღლა უჭირავს, არც ერთ ზედმეტ სიტყვას არ იმეტებს და არც ზედმეტს მოძრაობს. პირი-სახე თითქო მარმარილოსაგან აქვს გამოკვეთილი: მშვიდი, უძრავი და სავსე. მისი თვალები დინჯი და იმედიანია. გულდაჯერებული რწმენა, დარბაისლობა და იდუმალი ძალა გამოსჭვივის მისი სუფთა ხმიდან, დიდრონი თვალებიდან და სრული ტანის მიხვრა-მოხვრიდან.

ნაცოლარი წინ მიუძღვის, ის კი ისე დასდევს თითქოს ვერც კი ამჩნევდეს პატარა დედაკაცს. მხოლოდ ერთხელ მოელანდა ამარანის ნაცოლარს: სოფიო ერთ ავადმყოფს ბალიშს უსწორებდა. დახრილი რომ იყო, ყურთან ამირანის თბილი სუნთქვა იგრძნო. აიხედა და მოეჩვენა, თითქოს ამირანის თვალები ავადმყოფის მაგიერ სოფიოს მისჩერებოდა. თვალების დატაკებამ ორიოდე წამს გასტანა. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი არ მომხდარა.

პალატიდან რომ გადიოდნენ, ამირანი სოფიოს მიუბრუნდა, ოდნავ თავი მოიდრიკა და მხოლოდ ესღა გაიმეტა:

- მადლობელი ვარ, ქალბატონო.

ამირანმა მხოლოდ ზრდილობის ვალი მოიხადა.

ტალანში რომ გავიდნენ, სოფიოც გაჰყვა.

- მე მგონია, რომ იმ ავადმყოფს "ილეუს"-ი კი არა აქვს, არამედ პერიტონიტი, ხოლო მეორეს ეხინოკოკი უნდა სჭირდეს, - და ნათქვამს დაამატა: - ვნახოთ. გამოირკვევა.

ამირანის სიმართლე მალე გამოირკვა აქაც და სხვაგანაც.

იმ დღეს მართლა მეტი არაფერი მომხდარა. ამირანმა მთელი სამკურნალო დაიარა და წავიდა.

სანამ წასვლის დრო მოვიდოდა, სოფიო ჩვეულებრივ მუშაობდა. მხოლოდ ოდნავღა ეტყობოდა უჩვეული დაბნეულობა და სულის უცხო რამ ფუსფუსი.

სოფიოს აღარ მოუცდია და წავიდა. ისევ ამირანის ნაბინავზე იდგა.

სპირიდონი ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა და სოფიო თავის კაბინეტში დაინახა. იჯდა და ცარიელ კედელს შესცქეროდა. ამ ოთახში აღამებდა თავის შავ დღეებს ამირანი:

სოფიო იქ იშვიათად შევიდოდა. ეხლა კი პატარა ექიმი იმ ბნელ ოთახში თვითონ მისმა ფეხებმა შეიტანეს და ამირანის განიერ სავარძელზე დასვეს და მიაკრეს.

რად დაღონებულა სოფიო? რაზე ჰფიქრობს? ვინ ან რამ გაიტაცა?

- არაფერმა. ისე ვზივარ.

- ამირანზე რას იტყვი.

- არაფერს, რა უნდა ვთქვა?

- მე ვერც კი ვიცანი. ასე ძლიერ გამოცვლილი ადამიანი ჯერ არ მინახავს.

სოფიო სდუმს.

- ბარავიძემ მიამბო, ამირანს კუჭი გაუჭრესო, "გასტრო ენტეროანოსტომოზისი" გაუკეთეს. თურმე მორფინსაც გადააჩვიეს. სულ განკურნებულა ის კაცი. მელანქოლიაც ამოუგდია გულიდან.

- მელანქოლია ანუ გულის ნაღველი, არა? - უცხო კილოზე ჰკითხა სოფიომ.

- ჰო, აგრეა. გულის ნაღველი, ანუ სევდა. რად გაგახსენდა ეგ სიტყვა?

- არ ვიცი. შენი საჩუქარი მომაგონდა.

- ჰო, მახსოვს... ის სურათი. ნეტა რად დაგამახსოვრდა ის პატარა ამბავი?

- არ ვიცი. ადამიანს ზოგჯერ წვრილმანი რამ ლურსმანივით ჩაერჭობა ხოლმე თავში.

- სწორედ საკვირველია: რაღა ჩვენთან დანიშნეს ეს კაცი?

სპირიდონი თავისთვის მოელოდა მთავარი დოსტაქრის ადგილს და ნაწყენი იყო, რომ მას ამირანი ამჯობინეს. სოფიომ ვერ გაიგო, რა სჭარბობდა იმ წუთში სპირიდონის გულში: შელახული თავმოყვარეობა თუ იდუმალი რამ ხიფათის წინაგრძნობა.

- "ხიფათი?" - ჩასჭიდა ხელი ამ სიტყვას პატარა ექიმმა და თვითონვე გაიცინა.

- რად იცინი, ქალო? - ეკითხება ქმარი.

- არაფერი... სოსოს ცელქობა მომაგონდა. ზოგჯერ ისეთ რასმეს იტყვის ხოლმე, რომ... წავიდეთ, სადილი მოიტანეს.

ხუთი წლის სოსო ზის და ტიტინებს. დედ-მამა პასუხს არ აძლევს.

თავი ჩაუღუნიათ და უხმოდ სჭამენ სადილს.

სოფიომ სოსოს გადაჰხედა და დააკვირდა.

"პატარა მგელკაცა, მიწის მგლის ლეკვი!" - გაიფიქრა და ავმა კლანჭმა გაჰკაწრა. - უზანბარის პირი აქვს. მამის თვალები, ნიკაპი და... მამისავე დიდი ხალი ყურის ძირში. ამ ხალმა დამღუპა".

- და ამ სიტყვას ძურწა-ეკალივით მოედო:

"დამღუპა" ვითომ რად დამღუპა? მაშინ დავიღუპე, თუ დღესა ვარ დაღუპული?"

და უცებ უნებურად და ისე მძლავრად ჩაჰკრა სოსოს თავში, რომ ბალღმა ღრიალი ასტეხა. ჩაჰკრა და ბრაზით მიაძახა:

- ცხვირი მოასვენე მეთქი, ცხვირი!

სპირიდონმა ჭამა შესწყვიტა და ცოლს დააშტერდა.

- ვერ იქნა, ვერ გადავაჩვიე ეს უბედური. - დაუმატა სოფიომ.

- ჯერ ერთი უბედური არ არის. - სუსხიანად და დინჯად მიუგო სპირიდონმა. - გარდა ამისა, არ მესმის, რა გემართება, მაგისთანა უბრალოსთვის ეგეთი დარტყმა?!

- მაშ რა ვქნა! გამიჭირა საქმე! - ნერვიულად შესძახა სოფიომ და მეორე ოთახში შევარდა.

და იმ ღამეს, როცა ქმარი ცოლის საწოლს მიადგა, მოკუნტულმა პატარა დედაკაცმა არც კი მოიხედა და უჩვეულო ხმით შესძახა:

- თავი დამანებე!.. მომშორდი!.. მომასვენე!

IV

სოფიომაც უნდა ნახოს უკვე განთქმული დოსტაქრის ხელი. თვითონაც ექიმია და გამოადგება. გულიც დოსტაქრობისკენ მიუწევს. ვინ იცის, იქნება პატარა ექიმიც ამ დარგზე გადავიდეს.

სტერილიზატორი შიშინებს. ექიმის თანაშემწე ხელსაწყოს ამზადებს.

ამირანიც ემზადება. თეთრი ხალათი, დიდი სათვალეები, თეთრი ქსოვილით ახვეული პირი, თეთრი სამკლაურები და თეთრი ხელთათმანები.

სხვებიც ემზადებიან, ზოგი დამხმარედ და ზოგიც საყურებლად.

მეორე ოთახში ავადმყოფებს ამზადებენ. ერთი მათგანი უკვე დაბანგულია.

პატარა გორგოლებზე შემდგარი მაგიდა შემოაგორეს. ზედ დაძინებული წევს. დღეს ამირანი იმ ოპერაციას გააკეთებს, რომელიც თვითონ მასვე გაუკეთეს ბერლინში.

- Gastro enteroanostomosis.

ერთხელ კიდევ გაჰხედა რენტგენის ნეგატივს და სთქვა:

- აბა, ვიწყებ. საათს დაჰხედეთ.

და მჭრელი იარაღი ტიტველ მუცელს ისე ჩამოუსვა, თითქოს ახალ ყველს სჭრიდაო.

მარჯვედ და მარდად მუშაობს ამირანი დინჯად ჩქარობს დოსტაქარი. თან მალმალ უგდებს დამხმარეს:

- კოხერი მომეცით... პეანი მიბოძეთ... მაკრატელი მომაწოდეთ... მოსაჭერი დამიმზადეთ.

მისი ნაცოლარი საათს დასცქერის. ამირანი რამდენიმე ნაჭრილობევს სამსართულიანი საკერით ჰკერავს და კითხულობს:

- რამდენი გავიდა?

- თხუთმეტი წუთი.

ამირანმა გაათავა და სოფიოს შეჰხედა:

- ჩვიდმეტი. - უთხრა მას ნაცოლარმა.

დოსტაქარმა შუბლი აიკრა.

- ვერ იქნა თხუთმეტამდე მაინც ვერ დავიყვანე. ეხლა მეორე მოიყვანეთ.

კუთხეში ექიმები ბუტბუტებენ:

- საოცარი ხელის ძალა ჰქონია.

- იშვიათი გამბედაობა და ენერგია ჰქონია.

- იმდენიც არაფერი, - ბურტყუნებს სპირიდონი.

სოფიოს სპირიდონის ბურტყუნი ესმის და გული ეკაწრება.

ზედიზედ მოაგორებენ მეორე და მესამე ავადმყოფს. ამირანი იარაღს და დამხმარეს იცვლის. დაბანგულები გმინავენ და უცნაურ რამეს ბოდავენ.

სოფიო კედელს მიყუდებია და გულის ფანცქალით შესცქერის დოსტაქარს. თვალები

უცნაურად უბიბინებს. სისხლი უთრთის. სავსე ტუჩებზე ნელი ღიმილი უთამაშებს.

"რა მადლიანი ხელი აქვს! - ფიქრობს პატარა ექიმი. - თითებს პიანისტივით ათამაშებს". - მერე სპირიდონი აგონდება და უნებურად ადარებს.

"ფინაჩია!" - და ამ სიტყვის გამო კინაღამ გადიხარხარა. ამირანმა მეორე და მესამე ავადმყოფი სულ ადვილად მოიშორა. ეხლა მეოთხეც შემოაგორეს.

"ღმერთო, ხელი მოუმართე!" - ნატრობს სოფიო და ისე ღელავს, თითქოს იმ ავადმყოფს თავის ქალა თვითონვე უნდა გაუხვრიტოსო.

ავადმყოფს ტვინის ანთება ჰქონდა. ეხლა ამირანს მიუგორეს: თავის ტრეპანაცია გაუკეთე და გადაარჩინეო.

"შესაძლებელია ხელში შემოაკვდეს". - ეშინია სოფიოს. მაგრამ დოსტაქარს არავინ არ შემოაკვდა, როცა დოლბანდი მოიხსნა, სოფიოს გადახედა და ოდნავ გაუღიმა.

სოფიო უნებურად გაიბადრა, მაგრამ უმალვე აილაგმა ღიმილი და სპირიდონს შეჰხედა. გვიანღა იყო. ქმარმა ამირანისა და მისი ნაცოლარის უსიტყვო სალამს თვალი მოჰკრა და წარბები შეიკრა.

ყველანი ულოცავდნენ ამირანს. სპირიდონმაც ჩამოართვა ხელი და რაღაც წაილუღლუღა.

სოფიოს რაღა დაუშავა ამირანმა? რატომ არ ულოცავს? უხერხულია, უზრდელობაში ჩამოართმევენ. რა ვუყოთ, რომ გაყრილები არიან! რაკი ერთმანეთს ელაპარაკებიან და სალამსაც აძლევენ, ამიტომ მილოცვასაც უბრალო თავაზიანობად ჩასთვლიან.

მივიდა და ხელი გაუწოდა. თანაც დაუმატა:

- თქვენისთანა ხელი მე ჯერ არ მინახავს. მშვენავრად მუშაობთ, მშვენივრად!

სოფიომ თავის ხმას უფრო მეტი სითბო მისცა, ვიდრე თვითონ უნდოდა. პატარა და ლბილი ხელი ნამდვილ ვაჟკაცურ ხელში ჩაუდო და უფრო დიდხანს დასტოვა თბილსა და ღონიერ ხელში, ვიდრე აპირებდა.

- ამას წინათ გირჩიე, ყოველთვის დააკვირდი მეთქი, - ჩასჩურჩულა სოფიოს ბარავიძემ და ჩაიღიმა.

- არ მესმის, ვის უნდა დავაკვირდე?

- თავდაპირველად შენს თავს, - მიუგო მან და მოშორდა.

სოფიო იმ დღესაც ისევ ადრე წამოვიდა და ისევ უნებურად წამოიღო ჩუმი ღიმილი,

შემთბარი სისხლი და იდუმალი თრთოლვა.

გზაში ორი კაცის ლაპარაკს მოჰკრა ყური და აჰყვა, რადგან ამირანი ახსენეს. თავისი ნაქმრევის ქება რომ გაიგო, ისე გაუხარდა, თითქოს ის დიდება სოფიოზე იყო ნათქვამიო.

ოთახში რომ შევიდა, სოსო კიჟინით მიეგება და კაბაზე წამოეკონწიალა.

- დამანებე თავი! - მიაძახა დედამ და ბავშვი განზე გააყენა.

სოსომ პირი დააღო და დედას გაოცებით შეჰხედა. სოფიო კი მეორე ოთახისკენ წავიდა. ამირანის ნაცოლარს ეს უხეშობაც უნებურად წამოსცდა.

უცებ მას ამირანის ფოტოგრაფიული სურათი მოუნდა. უჯრები გადაჰქექა, მაგრამ ვერ იპოვნა. სპირიდონმა ყოველივე მოსპო, რაც ამირანს მოაგონებდა, გარდა ავეჯეულობისა. ამის გამო სოფიო ეხლაღა გამწარდა.

- ბარბაროსი! ველური!"

მერმე "ჩაჩანაკის" ნართაული ღიმილი მოაგონდა: შენს თავს დააკვირდიო.

ვითომ რად უნდა დააკვირდეს? რა ჩაიდინა ამისთანა პატარა დედაკაცმა, რომ სოლომონმა ასეთი დარიგება მისცა? ვითომ სხვებმაც შეამჩნიეს? ან რა შეამჩნიეს? ხელი რომ ჩამოართვა ამირანს? რომ გაუღიმა? ვის რა ეთქმის ამაზე? პატარა ექიმმა ზრდილობის ვალი მოიხადა და მეტი არაფერი, მორჩა და გათავდა! დიახ, მეტი არაფერი.

სოლომონი გულთმისანი ხომ არ არის, რომ სოფიოს გულში ამოეკითხა რაიმე? ან რა აქვს ამირანის ნაცოლარს გულზე დაწერილი? არაფერი, სულ არაფერი! იგი ცარიელია და სუფთა. "ვითომ ცარიელია? მართლა არაფერი სწერია? - ეკითხება საკუთარ თავს ისევ ამირანის ოთახში ჩაკეტილი სოფიო. - ამირანი გულიდან ამოვიგლიჯე. მაგრამ... თურმე ორიოდე ფესვი კიდევ დარჩენილა. ჰო, ორიოდე, მხოლოდ ორიოდე. იქ კი სპირიდონმაც გაიდგა ძირი. ნებაც ჰქონდა. ქმარი იყო, კანონიერი ქმარი! ჰო, ძირი გაიდგა. მაგრამ რამდენი? იმანაც ორიოდე... მხოლოდ ორიოდე! არც ღრმად ჩასწვდომიან: ოდნავ მოიკიდეს ფეხი. ეხლა? - უცებ წამოეჭრა თავში. - ეხლა რა ხდება იქ? ვინ ხმება და ვინ ხარობს? ვინ იზრდება და ვინ სჭკნება?"

ჯერ თავისსავე თავს გაუღიმა. მერმე შეეშინდა და მოიჭრა.

"რა ტუტუცი ვარ! საით გამიტაცა გულისთქმამ! ჩემს გულში არც არავინ ბუდობს, არც ხმება და არცა სჭკნება. იგი ცარიელია მეთქი და თავისუფალი. მორჩა და გათავდა!"

- რამ გაგიტაცა, სოფიო? - ეკითხება სპირიდონი, რომელიც მოულოდნელად დასდგომია თავზე.

სოფიო შეკრთა და წამოდგა.

"აფთარია, ნამდვილი აფთარია! ასე შემოპარვა მხოლოდ მიწის მგელს შეუძლია".

- რამ გამიტაცა?.. მე რამ გამიტაცა?.. არაფერმა... დედაჩემზე ვფიქრობდი... ისევ ავად არის. ვერ მოვარჩინეთ. წავიდეთ, სადილი მოიტანეს.

და გააბრუნა იმ ღამესაც სპირიდონი ხახამშრალი.

V

იმ დღეს სოფიოს რიგი იყო. დილამდე მორიგედ უნდა დარჩენილიყო სამკურნალოში.

ღამდება. პატარა დედაკაცი მოწყენილია. პატარა გულში უცხო რამ სევდა აწვება. ვიღაც თუ რაღაც ჰკორტნის და აწუხებს. თვითონაც არ იცის: ვინ, რა, რომელი და რისთვის?

თეთრ ხალათში გამოხვეულა და დაბნეული დადის პალატით პალატამდე და აღარ იცის, სად დაჯდეს, რა გააკეთოს და რაზე იზრუნოს.

ვიღაც ეუბნება:

- ავადმყოფი მოიყვანეს.

მადლობა უფალსა! გართობა მაინც ექნება.

ვიღაც საიქიოს მიმავალი კაცი გმინავს და თვალებს ატრიალებს.

გამოკითხა და გაშინჯა.

"თუ ერთ საათში არ გავჭერით, ნამდვილად მოკვდება".

თვითონ სოფიო ვერ გასჭრის, ასეთი დიდი ოპერაცია ჯერ არც გაუბედნია და ვერც ეხლა გაბედავს, დოსტაქარი კი აქ არ არის.

ტელეფონით ეძახის სპირიდონს. მაგრამ მისი ქმარი შინ არ არის, ამირანისათვის კი ჯერ ტელეფონი არ დაუდგამთ.

"რა ღვთის წყრომაა! ორ კვირაში ტელეფონის დადგმა ვერ მოახერხეს?"

- მაშ გაიქცეს ვინმე და ეხლავე მოიყვანოს.

- მარტო სევერიანს სცალიან. მაგრამ ისიც გავიდა.

- ვინ იცის, როდის დაბრუნდება, ადამიანი კვდება.

- სხვა გზა არ არის, უნდა მოვიცადოთ.

- როგორ თუ არ არის!

მაშ სევერიანს რომ პაპიროსის ყიდვა და ყბედობა მოუნდეს, ამის გამო ადამიანი უნდა მოკვდეს?

- ქაფური შეუშხაპუნეთ. მე ეხლავე დავბრუნდები. მართლა, სტერილიზატორიც აანთეთ, - ეუბნება სოფიო სათნოების დას და პატარა ფეხებს მიაბაკუნებს.

მადლობა ღმერთს, ამირანი სახლში ყოფილა! მაგრამ... რას იტყვის, სოფიოს რომ დაინახავს? ან სხვები რას იფიქრებენ, ნაცოლარის ნაქმრევთან მისვლას რომ გაიგებენ?

"ავადმყოფი მოიმიზეზაო. სხვა ვერავინ გაგზავნა და ღამით მარტოხელა მამაკაცს ეწვიაო".

დაიარე მერმე მთელი ქალაქი და დააჯერე, რომ სევერიანი სადღაც დაიკარგა, ხოლო ოპერაციის დაგვიანებას შესაძლებელია სიკვდილი მოჰყოლიყო, და სიტყვას "შესაძლებელია" ბურთად გაიხდიან".

გვიანღაა, ამირანი კარებში დგას და ალანძულ ნაცოლარს უცნაური ღიმილით შესცქერის.

- მობრძანდით, ქალბატონო სოფიო, მობრძანდით.

ისევ მრავლობით რიცხვს და "ქალბატონოს" ხმარობს.

პატარა დედაკაცი ოთახში არ შედის. არა სცალიან.

- ჩქარა, ამირან, ჩქარა. ავადმყოფს უშველეთ... კვდება. - თვითონაც მრავლობითი რიცხვი იხმარა, მაგრამ "ქალბატონოს" სამაგიერო "ბატონო" გამოეპარა.

კიბეზე დადგომა არ შეიძლება. სანამ ამირანი მოემზადება ათი წუთი მაინც გავა.

და ორივენი დად ოთახში შევიდნენ.

- აი აქ დაბრძანდით. სანამ მოვემზადებოდე.

და ჩინურ ფარდას მიეფარა.

ოთახი სისუფთავით და მორთულობით კოხტაობს. ყოველი ნივთი და ავეჯი მეორეს უხდება და მეზობელს ამთავრებს.

"ავეჯი აქაური იქნება. - ფიქრობს სოფიო. - დანარჩენი კი ალბათ იქიდან ჩამოიტანა".

- რა სჭირს იმ ავადმყოფს, ქალბატონო სოფიო? - ესმის ფარდის მეორე მხრიდან.

- ბრმა ნაწლავის ქრონიკული ანთება ჰქონია, ეხლა კი ნაწლავის პერფორაციის ნიშნები აქვს.

"ოჰ, რა მშვენიერი ნივთებია!" - ფიქრობს ნაცოლარი და ოთახში ფეხაკრეფით დადის.

აი კარლსბადის ბროლი, მოოქროვილი და ფერადი, აგერ ანტიკური მარმარილო, საქსონური ფაიფური, ბრინჯაო, ტყავი და ქსოვილი.

- როგორ მოგწონთ ჩემი კოლექცია, სოფიო? - ისმის ამირანის შერბილებული ხმა.

"ოჰო! "ქალბატონო" აღარ ახსენა!"

- მშვენიერია, მშვენიერი.

- აირჩიე, რომელიც მოგეწონება.

- არა, არა... მადლობელი ვარ. დიდად გმადლობთ.

- რატომ არა? რატომ არ გინდათ ჩემი სახსოვარი გქონდეთ?

- მინდა, მაგრამ...

- მაგრამ რაო?

- კოლექცია დაირღვევა... ცუდია.

- უარს მარტო მაგიტომ მეუბნებით?

"ოოჰ, სად მისძვრება ეს კაცი! მას უნდა ნამდვილი მიზეზი მათქმევინოს, მაგრამ..."

და უნებურად წამოსცდა:

- არა.

- არა? მართლა? მაშ ნამდვილი მიზეზი მითხარი.

ამირანი უკვე თავთ წაადგა სოფიოს და მობიბინე თვალებს ბურღივით უტრიალებს თვალებსა და გულში.

პატარა დედაკაცი სდუმს და ყოყმანობს.

- მაშ მე თვითონ გეტყვი.

და ნაცოლარს რომ პირი და გული ვერ გაახსნევინა, თვითონაც მიეშველა:

- მაშ მე გეტყვი: იმიტომ ვერა ბედავ მიიღო, რომ ჩემს ნაჩუქარს სპირიდონს ვერ აჩვენებ. ან ამირანი დახსომების ღირსიც არ ყოფილა. აგრეა თუ არა?

- ჰო... აგრეა, აგრე.

- ჰოო? მაშ...

არა, არა! სოფიოს "ჰო" კი არ უნდა ეთქვა, არამედ "არა, არა!"

- არ მესმის. ვერ გავიგე.

არც პატარა დედაკაცს ესმის. თავისი აზრი თვითონაც ვერ გაიგო. აირია, აილეწა და ენა დაება:

- წავიდეთ, თორემ დავიგვიანებთ.

- ეხლავე. მოიცა. მე შენთვის სხვა საჩუქარი მაქვს.

და უჯრიდან ფაიფურის ორი თეთრი დაფა ამოიღო, შავი აბრეშუმის საბელით ოდნავ ერთმანეთზე გადაბმული. წიგნის ყდასავით გადაშალა და აჩვენა.

- ოჰ, რა მშვენიერია! - წამოსცდა სოფიოს.

ორივე დაფაზე ცალ-ცალკე ორი სურათი იყო დახატული საღებავით: სოფიოსი და ამირანისა.

- თან წავიღე და იქ გავაკეთებინე.

მაშ სოფიოს სურათიც თან წაუღია! მაშ... აქ რაღაც ამბავია. ჯერ კარგად არ ესმის სოფიოს, მაგრამ გრძნობს, რომ იმის პატარა გულში რაღაც გადატრიალდა.

რომელიც გინდა, ინებეთ, წაიღე, თუ ორივეს წაიღებ... - "შენ" -ზე გადასვლა მხოლოდ ეხლა მოხვდა პატარა ექიმს ყურშიც და გულშიც.

- მაშ... ორივე წავიღო? - თავის თავს ეკითხება უნებური სტუმარი.

და ყოყმანის შემდეგ ორივე სურათი წიგნივით დაკეცა და იღლიის ქვეშ ამოიდო.

მერმე მოიგონა:

- მართლა, რაღა შავი ძაფით გადააბი ეს სურათები? ან ცალ-ცალკე რად გააკეთებინე?

ამირანი იღიმება და ყოყმანობს:

- იმიტომ, რომ... მაშინ რაღაც სიმბოლიური მნიშვნელობა ჰქონდათ, შავსაც და სურათების დაშორებასაც.

- ეხლა? - ეკითხება სოფიო ჩურჩულით და თითებს მაგიდაზე აცაცუნებს.

- ეხლა? განკურნებული ვარ. გათავდა.

გათავდა? მაშ სოფიომ შავი ძაფი უნდა შესცვალოს და ორივე სურათი უფრო მჭიდროდ გადააბას, არა?

გაიღიმა და ეს აზრი უკვე ენაზე მომდგარი, ძლივსღა დაიმაგრა.

- ერთი საჩუქარი კიდევა მაქვს... სპირიდონისათვის. - ამბობს ამირანი და უჯრიდან მეორე სურათი ამოაქვს. - ფერადებით ტილოზე დახატული და ვიწრო ჩარჩოში ჩასმული.

სოფიომ დახედა და შედრკა.

უდაბნოში შავ ქვაზე შავი დედაბერი, ჭირიანი ძაღლი და თავის ქალა... გაცრეცილი და უფოთლო ხე. ზედ - მიკიოტი, ბაიყუში და ჭოტი. იქვე - მცურავი, ღრიანკალი, ბაბაჭუა ხვითქი, ურჩხული და მიწის მგელი ანუ მგელ-კაცი, ანუ აფთარი, ანუ უზანბარი, ანუ სპირიდონი!

"ჰო, ჰო, სპირიდონი, სპირიდონი!"

- შენ ეგ სურათი აქ... მგონი აქ დასტოვე.

- დამატოვებინეს. ისევ პატრონს სპირიდონს დავუტოვე. სამაგიეროდ, იქ მისი პირი ვიპოვნე და ვიყიდე. როგორ მოგწონს?

- საშინელია, გადააგდე, ან დახიე.

- შენ დაგავიწყდა: სპირიდონს ვალი უნდა დავუბრუნო, როცა დრო მოვა, ნობათივით გავუგზავნი. სხვა ვალიცა მაქვს სპირიდონისა, ბევრი მმართებს მეგობრისა, მაგრამ...

და უცბად პირაქუშულმა ამირანმა უკანასკნელ სიტყვებში იმოდენა ყინული და ლითონი ჩაასხა, რომ სოფიოს ჟრუანტელმა დაუარა.

"ბევრი მმართებს. - გაიფიქრა პატარა დედაკაცმა, - ცოლი, ბავშვი, ბინა და... კიდევ მრავალი".

ამირანი ისე დაიხარა, რომ თავისი ტუჩები კინაღამ სოფიოს კისერს მიაკერა და შერბილებული ხმით დაუმატა:

- მაგრამ თვითონაც უნდა დამიბრუნოს ვალი.

ორივე მიყუჩდა. სოფიოს რაღაც სუნი ეცა, - მანამდე უგრძნობი, ახალი, დამბანგველი და თავბრუდამსხმელი. მამაკაცის ნაორთქლის იდუმალი ძალა, რომელმაც უმალ დასთენთა და დაარეტიანა.

- წავიდეთ, - წაიბუტბუტა შეშინებულმა სოფიომ და ამირანს მოშორდა, თანაც გაიფიქრა "მის ახლოს დგომაც სახიფათოა".

ნახევარი საათის შემდეგ ამირანი გამალებით მუშაობდა და დამხმარე სოფიოს უკარნახებდა:

- პეანი მომაწოდე... კოხერი მომეცი... მოსაჭერიც... მაკრატელი მიბოძე.

გაათავეს და გამოვიდნენ. ამირანმა სოფიოს უთხრა:

- ცოტა დასაწერი მაქვს თუ მოგწყინდეს, იმ ოთახში ვიქნები, შემოიხედე.

და გამგის ოთახში შევიდა.

თეთრი ლანდივით დადის გრძელ ტალანში ექიმი ქალი. გულზე კვლავ რაღაც ან ვიღაც აწვება, წეღანდელზე ძლიერი, მძიმე და შეუცნობელი. უნებურად მალიმალ მიადგება ოდნავ გამოღებულ კარს, მაგრამ ოთახში შეხედვისაც კი ეშინიან. უმალვე მოტრიალდება. ისევ დაბორიალებს, ისევ იმ ოთახის კარს აწყდება და კვლავ უპატრონოდ დაყიალებს.

რას აკეთებს ამ ოთახში ამირანი? ნეტა რა მოხდება სოფიოც რომ შევიდეს და ჩამოჯდეს? როგორ გაიგებს ნაქმრევი სოფიოს შესვლას? ნეტა როგორ დაუხვდება? იქნება წეღანდელი ბაასი გააგრძელოს. შესაძლებელია წეღანდელივით მიუახლოვდეს და... ოოჰ, ის სუნი, ის ბანგი, ის სუნთქვა, გამჭრელი და სახიფათო!

"არა, არა! ღმერთმა დამიფაროს! რაც იყო, იყო! წავიდა და აღარ დაბრუნდება".

და მთვარეულივით დაბარბაცებს თეთრი დედაკაცი პალატით პალატამდე. გამგის კაბინეტიდან მორიგე ოთახამდე და ტალანიდან დიდ კიბემდე.

ერთხელ კიდევ გასცდა სახიფათო ოთახს და მობრუნდა. კარებიდან ამირანი გამოვიდა და წინ გადაეღობა.

- ღამე მშვიდობისა, პატარა დედაკაცო!

სოფიო იღიმება.

- თქვენც გაიგეთ ჩემი ახალი სახელი?

- გავიგე, ყველაფერი გავიგე, ისევ "თქვენობით" მელაპარაკებით? როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით მეტის ღირსი არა ვყოფილვარ.

სოფიომ წაილუღლუღა:

- ჯერჯერობით... არც საჭიროა, გაიგებენ და...

- გაიგებენ და, ვინ იცის, რას იტყვიან, არა? მაგრამ ცალკე, როდესაც არავის არ ესმის?

- თუ გინდა...

- ძალიან, ძალიან მინდა....

- თუ ძალიან გინდა, ეგრე იყოს.

- წეღან რომ ჩემს ოთახში ვიყავით, რამდენჯერმე გაიმეტე ჩემთვის "შენ".

- მართლა? ვერ შევნიშნე, მაშ კარგად იყავი.

- ძილი ნებისა, სოფიო. - და უმალვე დაუმატა. - სოფიო... პატარა დედაკაცო.

და ისე აკოცა მთრთოლვარე ხელზე, როგორც მაშინ... შვიდი წლის წინათ, როცა პირველად გაუბედა: თბილი, ძლიერი და ხანგრძლივი კოცნით.

- შენც კარგად იყავი, ჩემო პატარავ. - მსუყე ხმით უთხრა და გრძელი კიბე ნელი ნაბიჯით ჩაიარა.

მაგრამ ვერც იმ ღამეს იყო კარგად პატარა ექიმი. ჩვეულებრივ მორიგე ექიმი ორი საათით მაინც მოატყუებდა ხოლმე თვალს. სოფიომ კი ის ღამე თეთრად გაათენა. ისევ დაკარგული თეთრი ფრინველივით დაბორიალებდა პალატით პალატამდე. გამგის კაბინეტიდან მორიგის ოთახამდე და ერთი ტალანის თავიდან მეორის ბოლომდე.

და როდესაც ქუჩამ გაიღვიძა, როდესაც სამკურნალო აჩუჩუნდა და აფუსფუსდა, პატარა დედაკაცი ხმელ საწოლზე მოიბუზა და თვლემის ნისლში შეცურდა.

VI

- პატარა დედაკაცო, გაიღვიძე! - ესმის სოფიოს მეორე ოთახიდან მამაკაცის ხმა.

თვალები გაახილა და წამოიწია.

"ოჰ, მართლა, ჩემს ლოგინში ვარ".

- გესმის? გაიღვიძე მეთქი. მართალია, წუხელის მორიგე იყავი, მაგრამ არც მაგდენი

ძილი ვარგა.

"ჩაჩანაკი" უკვე კარებში იღიმება.

- სოლომონ, შენა ხარ? ეხლავე ავდგები.

- რა თქმა უნდა, ვერ გამოიძინებდი. წუხელის გულის დიდი შფოთვა გქონდა, არა?

- რის შფოთვა? რის გამო?

- სპირიდონის გუშინდელი ოპერაციების გამო.

- ჰო, მართლა, როგორ არიან ავადმყოფები?

- არა უშავთ-რა. ერთი ეხლა მოკვდა, მეორე კი საღამომდე მოკვდება. იმათ თავი დავანებოთ. ეს მითხარი, შენ როგორა ხარ?

- კარგად, მადლობელი ვარ. აქეთ ნუ იხედები, უნდა ჩავიცვა.

ბარავიძე მოულოდნელად მოვიდა სამკურნალოში.

"ნეტა რამ მოიყვანა? ხომ არაფერი მოხდა?" - ფიქრობს სოფიო და იცვამს.

არა, საამისო არაფერი არ მომხდარა. მხოლოდ ერთი რამ არის უსიამოვნო: სპირიდონის პაციენტები ზედიზედ იხოცებიან. ალბათ ოპერაციის დროს ძალიან ღელავს სპირიდონი.

სოფიომ იცის სპირიდონის ამბავი. უკანასკნელ დროს გულში ამირანთან დატოლება ჩაიდო. დადის და ყველას აჯერებს: ამირანს დავეწიე და კიდევაც გადავაჭარბეო. და ახალ დოსტაქარს ხელსაც უწუნებს, ყურსაც და თვალსაც.

ამირანმა ბრმანაწლავის მოჭრას რვა წუთი მოანდომა. მეორე დღეს სპირიდონმა იგივე ოპერაცია ათ წუთში გაათავა და ავადმყოფი საიქიოს გაისტუმრა.

მეორეჯერაც ამირანს წაჰბაძა და ერთ ბავშვს "ამირანისებური" ტრეპანაცია გაუკეთა.

და ბავშვი ხელში შემოაკვდა.

მესამეს კუჭი მოსჭრა და პერიტონიტი გაუჩინა.

მარცხი ზედიზედ მოჰყვა. ყველა ამჩნევდა შეფიცხებას და ხელის მოდუნებას. თვალებს მოუსვენრად აცეცებს და მიხვრა-მოხვრაშიც უჩვეულო აჩქარება ეტყობა.

- ათიოდე დღეში ხუთი კაცი შემოაკვდა. დღეს ამირანმა სპირიდონის ორი ოპერაცია ხელმეორედ გააკეთა. - სთქვა სოლომონმა და დაღვრემილ სოფიოს მკლავში ხელი

გაუყარა. მერმე ჰკითხა:

- ხომ სრული მშვიდობა სუფევს თქვენსა ოჯახსა შინა, პატარა დედაკაცო?

- მეც ვამჩნევ აღელვებას, მაგრამ მიზეზი ვერ გამიგია.

- მშვიდობა გულსა შენსა და ოჯახსა შენსა შინა სათნოება. ამაზე უკეთესი აღარაფერი იქნება, მაგრამ ეს სხვათა შორის იყოს ნათქვამი, ნამდვილად კი აი რა უნდა მეთქვა: ამირანმა ჩვენი სამკურნალოს სახელი ორ თვეში ორი ადლით ასწია, სპირიდონმა კი ოცი ადლით დასწია. მირჩიე, რა ვქნა?

- დაითხოვეთ, ან დოსტაქრობაზე ხელი ააღებინეთ.

- ადვილი სათქმელია, დაითხოვეთ, ხელობის გამოცვლაზე ორჯერ-სამჯერ ჩამოვუგდე სიტყვა. ვურჩიე, თერაპიას დაუბრუნდი მეთქი. საოცრად აღელდა და აყვირდა. განა შენთვის არაფერი უთქვამს?

- არაფერი უკანასკნელ დროს თითქმის აღარ მელაპარაკება.

- მიზეზი?

- ღმერთმანი, არ ვიცი. გულში თითქოს შიში შეეპარა, თითქოს რაღაც ეშმაკი ჩაუჯდა. მოუსვენრად ტოკავს და შეციებული ქათამივით დადის. მარტოობასაც შეეჩვია, დღე და ღამე წერს, წერს და წერს.

- ლაპარაკში არაფერი შეატყეთ?

- საიმისო არაფერი, მხოლოდ ერთი რამ აიჩემა: ამირანს დავეწიე და გავუსწარი კიდეცო.

ამ დროს სპირიდონი შემოვიდა. გამგე ექიმი რომ დაინახა, ოდნავ შეკრთა და აირია.

- ბატონო სპირიდონ, ნუ გიკვირთ, - ამშვიდებს სოლომონი, - დღეს ჩემმა კნეინამ უსადილოდ დამტოვა. გავლანძღე და თქვენთან გამოვიქეცი. იმედია მაჭმევთ რამეს.

სუფრას მიუსხდნენ და ბაასი გააბეს. ჯერ თავიანთი ხელობა გაიხსენეს და თერაპია ქირურგიას შეადარეს.

- თერაპევტები ხალხს ატყუებენ. - ბურტყუნებს სპირიდონი, - სურდოც კი ვერ მოურჩენიათ. რამდენიმე ათას წამალში ქინაქინა, ანტიპირინი, საფაღარათო ზეთი და კიდევ რამდენიმე წამალი უებარია.

სოლომონი არ ედავება, რადგან თვითონაც უფრო ბუნებრივი მეთოდის მომხრეა, ვიდრე ქიმიურისა.

სპირიდონმა თავის ახალ ჯორს მიაგნო. შეჯდა და აღარ ჩამოდის. შინაგანი სეკრეციის თეორიას გაჰყვა და დაასაბუთა:

- აი, მშვენიერი მაგალითი. ამირანი ცვედანი იყო, ეხლა კი... - და უცებ სოფიოს გადაჰხედა და ხმა გაკმინდა.

სოლომონმა სიტყვა მიაშველა:

- მეც დოსტაქრობის მორწმუნე ვარ, მაგრამ უნდა გამოგიტყდე: ძალიან ძნელი და სახიფათო საქმეა.

- ეგ მართალია, - გაუხარდა სპირიდონს, - კარგი დოსტაქარი იშვიათია. ტფილისში მხოლოდ სამნი ვართ.

სოფიოს რაღაცამ გაჰკაწრა.

- ამირანი? - იკითხა სოლომონმა.

- ამირანი! ამირანი! - იფეთქა სპირიდონმა. - საკვირველია, როგორ ახერხებენ ხოლმე არარაობის ამაღლებას! ამირანი ფინაჩია. მე რომ მკითხოთ, ჯერ თითის მოჭრასაც არ მივანდობდი.

"ამდენ ხანში ამირანს ჯერ ერთი ოპერაციაც არ გაურთულდა, არც ვინმე შემოაკვდა, შენ კი..." - გაიფიქრა სოფიომ, მაგრამ ხმა არ ამოიღო. მიუხვდა სოლომონს: გამგე ექიმი სპირიდონის სულიერსა და გონებრივ ძალას სცდიდა.

- ხვალვე დაგიმტკიცებ ამირანის ფინაჩობას. ბრმა ნაწლავის ოპერაციას ამირანი რვა წუთს უნდება, მე კი ხუთ წუთში შევასრულებ.

სოფიოს ელდა ეცა. სოლომონს გადაჰხედა და სათქმელად პირი დააღო, მაგრამ ბარავიძემ თვალით გააჩუმა და სპირიდონს მიუბრუნდა.

- მე დარწმუნებული ვარ, მალე ორ წუთამდესაც დაიყვან.

- ოღონდაც! - გაუხარდა სპირიდონს.

"ღმერთო შეგვიბრალე, - წამოიძახა გულში სოფიომ, - მეც და ამ კაცის კლიენტებიც".

დარბაისელი სოლომონი თავის თავს ღალატობს და ისე დახტის სალაპარაკო საგანზე როგორც აყბედებული ჯაფარა მარგილებზე: ნეტა რა დღეა დღეს? სპირიდონმა გუშინ რა მიირთვა? საღამო სად გაატარა? სოლომონი გულმავიწყი ადამიანია. მოაგონეთ ბატონო სპირიდონ, ვინ გამოიგონა "914"?

- მგონი კოხმა, არა?

- რა თქმა უნდა. რა თქმა უნდა! - უდასტურებს უკვე აშლილი მასპინძელი.

- პატარა წერილსა ვწერ და იმისთვის დამჭირდა. ისიც დამავიწყდა: მგონი იაპონელმა ერლიხმა დაამტკიცა ბრმა ნაწლავის ზედმეტობა, არა?

- დიაღ, ერლიხმა დაამტკიცა, მაგრამ ერლიხი იაპონელი კი არა ჩინელია, ჩინელი.

- ჰო, მართლა, ჩინელი იყო... დიახ, ჩინელი.

"ღმერთო დიდებულო! - დაფეთდა სპირიდონის ცოლი. - ერთი ჭერის ქვეშ ვცხოვრობთ და აქამდე ვერაფერი შევამჩნიე. იმის ნაწერებშიაც ვერ ჩავიხედე. ნუ თუ?.."

სოლომონი არა სცხრება: რამდენი წლისა იქნება პატარა სოსო?

- შვიდისა. - მიახალა სპირიდონმა.

ეხლა სოსომაც გაიკვირვა:

- ხუთისა ვარ, ხუთისა. - ეკამათება შვილი.

ნეტა რამდენ ხანში ჩავა სოლომონი ბათომში?

- სამ თვეში ადვილად ჩახვალ.

- გმადლობ, გენაცვა, გმადლობ. ბათომში წასვლას ვაპირებ და ამიტომ გკითხე.

მოსამსახურემ შეხვეული რაღაც შემოიტანა და სპირიდონს გადასცა, დოსტაქარმა მთრთოლვარე ხელებით გახსნა და გაოცდა. მერმე ის ნივთი გადააბრუნა და გაიბადრა. ბავშვივით უხარიან სპირიდონს. სურათს ატრიალებს და ბორძიკობს.

- ყოჩაღ, ამირან! მადლობელი ვარ, მეგობარო, მადლობელი!.. გცოდნია ვალის გადახდა. აი, ნახეთ, სოფიო... სოლომონ, რა საუცხოვო სურათია!

და ოდესღაც ამირანის ნათქვამი თვითონაც გაიმეორა:

- გენიალურია, გენიალური!

სოფიო გაფითრდა: ორი კვირა ძლივს იქნება, რაც ამირანი დაჰპირდა: - "თავის დროზე ნობათივით მივართმევო". რას გულისხმობდა, როცა ამბობდა: თავის დროზეო?.. ნუ თუ ამირანმა მაშინ უკვე შეამჩნია რამე სპირიდონს? მაშ სოფიო ბრმა და ყრუ ყოფილა. მაშ მისი გულისყურიც სხვაგან იყო, თორემ აქამდე როგორ ვერ გაიგო და დაინახა, რომ სპირიდონის თავზე რაღაც უბედურება ტრიალებდა.

- გენიალურია, გენიალური! - ცქმუტავს სპირიდონი, - მადლობელი ვარ, ჩემო ძვირფასო

მეგობარო, მადლობელი.

მერმე ჩაციებით ჩააშტერდა იმ სურათს და უარესად აიშალა:

- ერთი ამას დააკვირდი. აი, ამ კუთხეში, ღრუბლებში ქალის თავი მოსჩანს. შენა ხარ, სოფიო, შენა!

გაშინჯეს და დარწმუნდნენ: ღრუბლებიდან დედაკაცის თეთრი პირისახე გამოიყურებოდა და მართლა სოფიოსა ჰგავდა.

სპირიდონმა დიდხანს ვერ მოიშორა სურათი, მერმე კაბინეტში გაიტანა და სწორედ იმ ადგილას ჩამოჰკიდა, სადაც ოდესღაც მისი ნაჩუქარი ასეთივე ნახატი იყო გაკრული.

- გესმის? გაიგე? - ჰკითხა სოლომონმა სოფიოს, სანამ სპირიდონი მეორე ოთახში ჩაქუჩს არაკუნებდა.

- გავიგე, მაგრამ ვაი ამ გაგებას! - უპასუხა სოფიომ და მოწყვეტილი თავი ხელებში ჩაიგდო.

VII

მეორე დღეს სპირიდონ რონველი დასასვენებლად დაითხოვეს.

სპირიდონს არ უნდა დასვენება, პირიქით, ანაზდად იმდენი ძალღონე გაუჩნდა, რომ დღეში თუნდ ორმოც ოპერაციასაც მოერევა. არც დამხმარე სჭირდება, არც ზედამდეგი. რონველს რომ ჰკითხოთ, სწორედ ამირან რიმანიძემ უნდა დაისვენოს, რომელიც ფინაჩივით მუშაობს და კლიენტებს ჰხოცავს.

- მე დამითმე სპირიდონ, - შეეხვეწა სოფიო, - შინ უფრო დიდი საქმე გაქვს, ვიდრე სამკურნალოში. უთვალავი დაკვირვება და დიდი გამოცდილება დაგიგროვდა. დაჯექი და დაწერე.

სპირიდონს ცოლის რჩევა მოეწონა. ჩაჯდა და სწერს. ჯერ დღეში ათ საათს მუშაობდა. შემდეგ თანდათან მოუმატა და ეხლა თვრამეტ საათამდე ავიდა. ისეთი ფაცა-ფუცით სწერს, თითქოს გაუნელებელი ციება სჭირსო. ტანი უცახცახებს, თვალები უღელავს და სისხლი უდუღს.

სოლომონ ბარავიძე ყოველ დღე მოდის, სპირიდონს უთვალთვალებს და სწამლობს. მაგრამ ახალ მეცნიერს წამლობისათვის არა სცალიან.

საცა რიმანიძეა, იქ მეცა ვარ, - დაჟინებით იმეორებს და ჭირის ოფლში იწურება.

რიმანიძემ წიგნი დასწერა, შესახებ შინაგანი სეკრეციისა. დღეს თუ ხვალ უნივერსიტეტში კათედრასაც მისცემენ. თუ ამირანი დოცენტად გამოდგება, სპირიდონს პროფესორობა

ეკუთვნის. ამირანის "ნაჯღაბნი" ას გვერდს ძლივს შეიცავს, სპირიდონის კაპიტალური ნაშრომი კი ექვსასზე მეტიც იქნება.

და აფორიაქებული მეცნიერი ხვლიკივით დაძვრება წიგნების გორებში.

ერთხელ ბარავიძემ და სოფიომ დრო იხელთეს და მომავალი შრომის კონსპექტი გადაათვალიერეს.

სპირიდონმა არავის არ აწყენინა. ყველანი ჰყავს მოხსენებული: უძველესი ეგვიპტელები, ინდოელები, ბერძნები, რომაელები, ქართველებიც და არაბებიც. ჰიპოკრატი, აული, კორნელი, ცელსი, ჰალენ, ავიცენა და უთვალავნი სხვანიც. ის ქებით იხსენიებს არაბების სისტემას - ცხელ შანთს დანის ნაცვლად, და ამტკიცებს, რომ ყველა ქვეყნის განთქმული დოსტაქრები ქართველები იყვნენ: როჯერ პირმერი ნამდვილად რაჟდენი იყო. გიუ დე შოლიაკი გივი შილდელია, აბულკაზემ აბულაძის გვარიდან მოდის, აბროაზი იგივე ამბროსია, ხოლო ჯონ გენტერი გადაკეთებული გიორგი გენტერაშვილი უნდა იყოსო. დასკვნაც შესაფერი ჰქონდა: უცხოელები ჩვენ დოსტაქრობას ვერ გვასწავლიან, თვითონვე მოვიდნენ და ისწავლონ ბაჯიაშვილებისა და თურმანიძეებისაგან, რომელნიც უკვე სამოცი საუკუნე იქნება, რაც ამ ხელობას მისდევენო. შემდეგ სპირიდონი აცხადებს, რომ კანის გადაგვა მან გამოიგონა, რომ ეთერისა და ქლოროფორმის ხმარება ზედმეტია, რომ შინაგანი სეკრეციის თეორია კაცობრიობას დაჰღუპავს, ხოლო ამ მოძღვრების მოციქული ამირან რიმანიძე ხალხის მოსისხლე მტერია და ისიც საზღაპრო ამირანივით კლდეებზე მისაბმელი გიჟიაო. დასასრულ სპირიდონი იმუქრებოდა: ჩემი სახით პარაცელზი გაცოცხლდა. განგებამ ხელთ მომცა უკვდავების წამალი, რომელიც ყველას ერგება, გარდა "ჰარამზადა" ამირან რიმანიძისა. პარაცელზმა საქვეყნოდ დასწვა ჰალენისა და ავიცენას ნაბოდვარი. მეც მალე ასევე მოვექცევი რიმანიძის ნაჩხაპნსაო. თუ იმ დრომდე ამირანი კედელზე არ მიაკრეს, თვითონ ამირანს და იმის შხამიან წიგნსაც მე თვითონ დავწვავ უნივერსიტეტის მოედანზეო.

- ცხადია, - სთქვა სოლომონმა, - "მანია გრანდიოზა" ჰქონია, განდიდების კვიატი სჭირვებია.

სოფიომაც იცოდა სპირიდონის სენი, მაგრამ სოლომონის სიტყვები ქვასავით დაეცა. პატარა დედაკაცი დიდ სავარძელში მოიბუზა და ატირდა.

VIII

სოლომონ ბარავიძას დაბადების დღე იყო. დღისით თანამოსამსახურეებმა მიულოცეს, ხოლო საღამოზე ვახშმად ეწვივნენ.

სოფიო ცივ უარზე იდგა, მაგრამ "ჩაჩანაკი" თავისი ფეხით მივიდა. სპირიდონს სათნოების დაჲ მიუჩინა და წაიყვანა.

სტუმრები უკვე სუფრაზე ისხდნენ. მხოლოდ ორი ადგილიღა იყო დარჩენილი: სუფრის სათავეში - სოლომონისათვის და ამირანის გვერდით - სოფიოსათვის.

პატარა დედაკაცი შეშფოთდა: რა ჩაუდვია გულში დიასახლისს? რაღა ამირანს მოუსვა გვერდით? ყველამ იცის მათი წარსული. რას იფიქრებენ? რას იტყვიან?

მაგრამ არც ამირანის წყენა უნდა სოფიოს. გვერდით მიუჯდა და მოიბუზა.

ამირანს მეორე მხრიდან ვიღაც დედაკაცი უზის: ტანადი, სრული და ბეჭ-შიშველი.

უცხოელია ის დედაკაცი, ამიტომ -

- მე კარტული არ ვიცი.

და სხვებსაც უცხო ენაზე ალაპარაკებს.

თამამი და ყბედი დედაკაცია. ამირანი უმალვე ხელთ იგდო და აიყოლია. ლამის მამაკაცს ზედ მიეკრას. ზოგჯერ ისე გადმოიხრება თითქოს დოსტაქარს კისერში ან ყურის ძირში ჰკოცნისო.

სოფიო ისევ მობუზულია. თითქმის არაფერს არ სჭამს და უცნობი დედაკაცის ტიტინს უგდებს ყურს, და გულზე თანდთან უცნაური ავი რამ გრძნობა ეხვევა.

"ჯოჯო! - წამოიძახა გუნებაში და ზურგი შეაქცია - მაჯლაჯუნა!"

ვახშამი დუნედ მიდის... პატარა დედაკაცი გუნებაზე არ არის. ვერც სხვებმა აუწიეს და საერთო კილო ვერ იპოვნეს.

კედელზე დიდი წარწერაა გაკრული: "ქართული ვიცით", მაგრამ ის განცხადება ვერა სჭრის, რადგან ერთი უცხოსი ერიდებათ.

უცნობმა დედაკაცმა ქართველი ქალი დაიხვია ხელზე და სჯიჯგნის: ქართველი ქალი მეტისმეტად მოკრძალებულია, მორცხვია, "კეკელკაა".

- ესე იგი ნამუსიანია, - უნებურად ჩაურთო სოფიომ.

- არავინ არ იცის, რა არის ნამუსი, - აღრინდა უცნობი.

- ყველამ ვიცით, ზოგის გარდა, - ისევ მოუჭრა პატარა დედაკაცმა.

უცნობმა მოხვედრილი ისარი არ დაიმჩნია და განაგრძო:

- რა თქმა უნდა ნამუსიც კარგი ხილია, მაგრამ ნაჭარბევ მორიდებას...

- ესე იგი ნამუსიანობას, - შეუსწორა ალესილმა სოფიომ.

- თუნდაც აგრე იყოს ნაჭარბევ ნამუსიანობას დიდი ზარალი მოაქვს თქვენთვის, როცა

ქართველი ქალი ჩაკეტილში ზის, ამ დროს ასპარეზს სხვები იპყრობენ.

- ესე იგი ქართველ ქმრებს შოულობენ. არა? - ისევ გაჰკაწრა სოფიომ.

- ასპარეზს ყოველ მხრივ იპყრობენ და ქართველებზედაც თხოვდებიან.

- ვაი იმ ქართველებისა და მათი ჩამომავლობის ბრალი!

- ვითომ რატომაო? - ეხლა კი იწყინა უცნობმა. - მე ქართველი ქმარი მყავს, მაგრამ...

- რამდენი შვილი გყავთ? - გააწყვეტინა სოფიომ.

- სამი.

- ქართული იციან?

- არა, არ იციან და არც საჭიროა.

- კმარა. გავათავოთ! ყოველივე ცხადია. ბრალი თქვენი ქმრისა და შვილებისა, თორემ...

უცნობი დედაკაცი გაკაპასდა. დიასახლისი და ამირანი ორივეს ამშვიდებდნენ.

- მე თქვენს სიტყვებს ჩემს ქმარს გადავცემ და პასუხი იმას მიეცით, - მუქარით სთქვა უცნობმა.

- ინებეთ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, თქვენს ქმარს არ ვიცნობ. - მიუგო სოფიომ.

- მართლა? - გაიღიმა უცნობმა. - სწორედ მაგიტომ ბრძანდებით დიდ გულზე. გთხოვთ მიცნობდეთ. მე გახლავართ ცოლი...

და ისეთი დიდი გვარი დაასახელა, რომ სოფიო გაჩუმდა. სუფრაზე უხერხული დუმილი ჩამოვარდა. მერმე ისევ სოფიომ წაილაპარაკა.

- რა თქმა უნდა ჩემისთანა პატარა დედაკაცი უძლურია, მაგრამ მაინც არც ერთ ჩემ სიტყვაზე უარს არ ვიტყვი.

საყვედურით გადაჰხედა მასპინძელს და თვალით მიუთითა კედელზე, სადაც წარწერა იყო გაკრული: "ქართული ვიცით".

სოლომონმა ხელები გასაავსავა და ხმამაღლა განაცხადა:

- ჩემი ბრალია.

და იმ წუთიდან გაასპიტებული დედაკაცი დამუნჯდა, რადგან სტუმარ-მასპინძლების ლაპარაკასა ერთი სიტყვაც ვეღარ გაიგო. მერმე ყოველივე იგრძნო და წამოდგა. ექიმი

ბარავიძე და მისი მეუღლე თხოვნით გაჰყვნენ, მაგრამ გულმოსულმა სტუმარმა მასპინძლები არ შეიწყნარა და კარი მიაჯახუნა.

- ახია ჩვენს მასპინძელზე! - წამოიძახა სოფიომ.

- ახია! - დაუდასტურეს ამირანმა და სხვებმაც.

- ახია ჩემზე, ახი! - მიიღო საყვედური სოლომონმაც და სუფრა გააჩუმა. შემდეგ პატარად დედაკაცის სადღეგრძელო დალია და ამირანს ალავერდი მიაძახა.

ამირანი უცებ გამოცოცხლდა და გაიშალა.

- იახშიოლ! - დაუბრუნა სოლომონს და მძლავრი და სუფთა ხმით დაიწყო მრავალჟამიერი.

ამირანი მღერის, სხვებსაც ამღერებს, თვითონაც იცინის და სტუმრებსაც აცინებს. პატარა დედაკაცი თანდათან აღიღინდა, ამღერდა და აკისკისდა. ამირანის გვერდით შესთბა და გაიშალა, ყველანი გაოცებით შესცქერიან მას. ჯერ არავის ენახა, რომ პატარა ექიმი ასე შეხურებულიყო ღვინით, სიმღერით და სიცილით.

ამირანი მალიმალ გადაიხრება და ნაცოლარს ისეთი ხმით ეჩურჩულება უცხო სიტყვებს ყურის ძირში, თითქოს პატარა დედაკაცს პაწაწინა ფეხქვეშ ხალიჩად ეშლებაო. სოფიოს სცხელა. ყურის ძირი საამური ღიტინით ეწვის და თვითონაც ნელი ცეცხლით ინთება. ის სუნი, მამაკაცის ნაორთქლი, რომელიც ერთხელ შეიყნოსა ამირანის ოთახში, ეხლა ჰბანგავს, არეტიანებს და დროგამოშვებით თვალებს ალულვინებს. პატარა დედაკაცი მაშინდელივით აღარ გაურბის ვნებიან ნაორთქლს. მას ეხლაღა ერგო სარგები, - ისიც ოდნავ შორეული და უცოდველი, ამიტომ ნურვინ ნუ დასძრახავთ სოფიოს: ნურც შენ, ამირან, ნურც შენ, ჩაჩანაკო, ნურც თქვენ, მეგობრებო.

- არ ვიცი, როდის ან როგორ უნდა მოვიხადო შენი ვალი. - ჩასჩურჩულებს მას ამირანი შეცვლილი სახით და ხმით.

- რომელი ვალი? რა ვალი? - უკვირს სოფიოს.

- დაუვიწყარი ვალი მადევს. არ ვიცი, შემინდობ ოდესმე თუ არა?

- არ მესმის, არ მახსოვს.

- არ გახსოვს, რადგან ანგელოზის გული გაქვს. მართლა დაივიწყე ჩემი გაპარვა?

სოფიოს ეს სიტყვა გულში ეჩხვლიტა. სავსე ტუჩები შეიკეცა. შუბლი შეიკრა და მკვახედ ჰკითხა:

- რად მოიგონე ეგ ამბავი?

- არც არასოდეს დამვიწყებია.

ამირანს უპატიებელ და წარუშლელ სირცხვილად მიაჩნია თავისი საქციელი. პატარა და უძალო დედაკაცი მარტოდ მარტო დასტოვა და ქურდივით გაიპარა. ცოლს მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მისწერა - ისიც მშრალი და უგულო.

- არა... მშრალი არ იყო, - ლუღლუღებს თავჩაქინდრული სოფიო.

- სულ ერთია, გავიპარე. მხოლოდ ერთი მაქვს შესანდობარი: ჩემ ჭკუაზე არ ვიყავი.

- ალბათ საჭირო იყო და იმიტომ წახვედი, - ამართლებს ნაქმრევს ნაცოლარიც. - არც წააგე.

- წავაგე, წავაგე! - ცეცხლსავით ისვრის ამირანი. - სენი მოვიშორე და სამაგიეროდ ისეთი ძვირფასი საუნჯე დავკარგე, რომ იმის ბადალს, ქვეყანაც რომ გადავაბრუნო, მაინც ვერ ვიპოვნი.

სოფიო სდუმს და ალანძულ პირისახეს მღელვარე მკერდზე იმალავს.

- ის ხომ მართალია, რომ დაკარგულ განძს ვეღარ დავიბრუნებ? - ეკითხება ამირანი.

- არ ვიცი... არ მესმის. მაგაზე ნურაფერს ნუღარ მეტყვი.

- კეთილი. აგრე იყოს. აღარაფერს არ გეტყვი. ეს მაინც მითხარი. მეპატიება თუ არა ოდესმე ჩემი სამარცხვინო გაქცევა?

- დიდი ხანია გაპატიე, აღარც კი მახსოვს.

- მადლობელი ვარ, ჩემო სოფიო, მადლობელი.

და მაგიდის ქვეშ ისე მაგრად მოუჭირა პაწაწინა ხელს, რომ სოფიომ კინაღამ შეჰკივლა. მოუჭირა და იმ ხელს ხელი აღარ გაუშვა. სოფიომ ორჯერ-სამჯერ გამოსწია ხელი და რაკი ვერ გამოართვა, თვითონაც გაუტვრინდა და გაინაბა.

რაღაც მძლავრი, იდუმალი და უხილავი ძალა გადადის ხელით-ხელში, თითქოს თბილი სისხლი მიჰყონავს ერთი სხეულიდან მეორეში და ცეცხლით და ვნებით ავსებს ორივეს.

პატარა დედაკაცი აილეწა და ყაყაჩოსავით აწითლდა.

- სპირიდონი როგორ არის? - ჰკითხა უცებ ამირანმა.

სოფიოს თითქოს ძილის დროს ჩაქუჩი დაჰკრესო. ხელი გამოჰგლიგა და ცივად მიუგო:

- გმადლობ... კარგად არის.

სუფრის თავზე ჩურჩული და ფუსფუსი ატყდა:

- მართლა? როდის? - წამოვარდა ბარავიძე.

იქაც სპირიდონი ახსენეს და იმ სახელმა სუფრაზე ტალღასავით ჩაირბინა.

- სპირიდონი?.. რა ამბავია? რა დაემართა? - წამოხტა სოფიოც. - სოლომონ, მითხარი, რა მოხდა? რა დაემართა მეთქი?

- არაფერი, ქალო, საიმისო არაფერი. შენ აქ იყავი... შენ აქ დარჩი. - და დარაჯს შეუტია: - ვინ შეუშვა? რად შეუშვით?

- შეიპარა... გაგვეპარა. - თავს იმართლებს დარაჯი და გარბის.

ბარავიძე ჩანჩალით მირბის. უკან გაფითრებული სოფიო და ამირანი მისდევენ. სამკურნალოს ეზო გადასჭრეს და საცხედრო სარდაფში შევიდნენ.

საცხედრო გაშუქებულია. მაგიდებზე ოთხი უპატრონო და მოუკითხავი ცხედარი ასვენია. ოთხივეს სუდარები ახდილი აქვთ. თეთრ ხალათში გახვეული და შავი ნაჭრით პირახვეული სპირიდონი ცხედარს მისდგომია და მის მუცელს გაფაციცებით სჭრის და ჰღადრავს.

შემოსულნი რომ დაინახა, უმალვე მიაძახა:

- ხელი არ შემიშალოთ! არ შემიშალოთ მეთქი!

და ცხედარს უფრო მეტის გააფთრებით დაეტაკა: ჰნაწლავდა, ჰშიგნავდა და გაიძახოდა:

- აგერ ამას ათ წუთში გაუკეთე "გასტრო ინტეროსტომოზის"... მეორეს ხუთ წუთში ამოვჭერი ბრმა ნაწლავი... ამას რვა წუთში უნდა გავუთავო ღვიძლის ოპერაცია...

- სპირიდონ, რას აკეთებ, შე კაი კაცო? - მთრთოლვარე ხმით ეკითხება სოლომონი და უახლოვდება.

- არ მოხვიდე! ხელი არ შემიშალო მეთქი! ახლავე გავათავებ, ორი წუთიღა დამრჩა, მხოლოდ ორი!

მაგიდის ქვეშ პრიმუსი შიშინებს. ზედ გავარვარებული რკინა ძევს. სპირიდონი უცებ იმ შანთს დასწვდა და ცხედარს გაღადრულ მუცელში დაატაკა. ნაწრთობი რკინის შიშინი მოისმა და საცხედრეს დამწვარი ხორცის სუნი მოედო.

- დაე ჭრილობა ამირანმა შეჰკეროს და სისხლი მოსაჭერით შეაჩეროს. - გაჰკივის შეშლილი დოსტაქარი. - მე კი უფრო არაბული ხერხი მეხერხება: ცხელი შანთი!

გახურებული რკინა! მობრძანდით, ბატონო ამირან! მობრძანდით და ისწავლეთ, აი როგორ უნდა... აი, აი, აი...

ამირანმა გულწასული პატარა დედაკაცი მონათლული ბავშვივით დაიდო მკლავზე და ბნელ კიბეზე მიიმალა.

IX

ზაფხული მოვიდა. პატარა დედაკაცი დიდი დარდით მოდუნდა და ერთგული შრომით დამჩატდა. დროა სოფიომაც დაისვენოს.

ბინის ძებნით ნუ შეწუხდები პატარა დედაკაცო. სათნოების დაჲ მარიამი ბაკურიანში მიდის დასასვენებლად. ერთ ოთახს სოფიოსათვისაც დაიქირავებს, დეპეშით შეატყობინებს და ქვრივი ექიმიც მზამზარეულზე ამოვა.

- დიდი მადლობელი ვარ, დაო მარიამ, დიდი! მაგრამ სოფიოს ბაკურიანი არ მოსწონს. იქაც ბევრი ხალხია, სოფიო კი ყრუ და უდაბურ სოფელს ეძებს.

- მაშ ციხის ჯვარში დავიქირავებ. მყუდრო ადგილია. ბაკურიანიდან ერთი საათის გზა თუ იქნება.

წავიდა და დაუქირავა.

ბნელი ღამეა. გრილა. მოკლე და მჩატე მატარებელი რახუნით, ხვნეშით, კვნესით და ოხვრით მიიკლკნება წაღვერის ხეობაში, მერე მოტრიალდა და ისე მიუხვ-მოუხვია, თითქოს საკუთარ კუდს დასაჭერად დასდევდა.

პატარა დედაკაცი კუთხეში მიკუნჭულა და სდუმს. ნაცემი ბავშვივით მობუზულა თბილ შალში და არავის არ ელაპარაკება. სხვის ბაასსაც არ უგდებს ყურს.

როცა მატარებელი ლიბანში ავიდა, უკვე შუაღამე გადავიდა. მთვარიანი ღამე იყო. ძირს - უძირო ხევი, უფრო დაბლა - აქა-იქ გაფანტული ათიოდე ჭრაქი წაღვერის და ცემისა, გაღმა - ისევ მთები: ტყიანი და უტყეო.

ყველანი ჩამოვიდნენ, ხევის პირს გადასახედს მიადგნენ და აღტაცებული ჟრიამული ასტეხეს.

გარინდული სოფიო კვლავ კუნჭულშია მიკუნჭული.

მატარებელი ისევ წავიდა. ისევ შუა ტეში მიდის. ტყიდან ნესტი, სიგრილე, ღამის ლანდები და უცნაური ჩრდილები შემოდის.

მგზავრები სთვლემენ. მხოლოდ ზოგნი ბურტყუნებენ და მათი ბურტყუნი, ზოგის ხვრინვა, მატარებლის ოხვრა და თვლების რახრახი სოფიოს მიბნედილ ყურებში ველურ

ნანად ეწვეთება.

და სოფიოც სთვლემს და დამძიმებულ ბურანში შედის.

- საკოჭავი! სადგური საკოჭავი! - წამოიძახა ვიღაცამ.

პატარა დედაკაცმა ოდნავ აახილა თვალი და შედრკა. არა სჯერა, რომ მის პირდაპირ ბინდ-ბუნდში ამირანი ზის. ზის და სოფიოს უღიმის.

ქვრივმა ორივე თვალო მოიფშვნიტა, დააჭყიტა და თვითონაც გაიღიმა.

"ამირანია, რა თქმა უნდა, ამირანია".

- ძილი ნებისა, პატარა დედაკაცო!

- ღამე მშვიდობისა, ამირან!

ამირანი დაიხარა, პატარა ხელი ჩაბღუჯა და დაბალი ხმით უთხრა:

- შენ ერთი წუთით მოატყუე თვალი. მეც ვისარგებლე, ადგილი გადმოვინაცვლე.

- საიდან, საით? - პკითხა სოფიომ.

- წაღვერში ამოვედი.

- ჰო, მართლა, იქ ისვენებ, არა?

- დიახ, მაგრამ არ მომეწონა. თავი დავანებე.

- ბაკურიანში გადადიხარ?

- თითქმის. ციხის ჯვარში გადავსახლდი.

- ციხის ჯვარში? - გაიოცა სოფიომ.

- რა იყო, შენც ხომ იქ არ მოდიხარ?

- ჰო... მეც იქ მივდივარ.

საკირველია! მარიამს გუშინწინ წაღვერის სადგურზე შეხვდა ამირანი. ალბათ მისგან გაიგო, რომ სოფიო ციხის ჯვარში მიდიოდა, გაიგო და... ვითომ? მართლა? ვითომ გამოჰყვა?

ამირანმა სიტყვა ბანზე ააგდო:

- ამ ადგილებს ადრე თორი ერქვა. აქ ძლიერი ფეოდალი თორელები ისხდნენ. მერე გუჯარეთი დაარქვეს. ცოტა ქვეით სადგერის ხეობა იწყება.

- ბაკურიანში მალე ავალთ? - ეკითხება სოფიო.

- თორის ხეობას მივადგებით. აქვეა ბაკურიანიც, რომელსაც ნამდვილი ბაკურიანი ჰქვიან. ათიოდე წუთში ავალთ. მართლა, ბოდიში უნდა მოვიხადო: ექვსი თვის თავზე პანაშვიდი გქონია, მე კი ვერ დავესწარი.

პატარა დედაკაცი პასუხს არ აძლევს.

- ბავშვი რა უყავი, სოფიო?

- სპირიდონის დამ წაიყვანა კახეთში.

ამირანი პატარა ხელს თავის ხელებში იდებს, ალერსით უფშვნეტავს და ეუბნება:

- ცივი ხელი გაქვს. არ შეგცივდეს, გენაცვალოს ამირანი.

"გენაცვალოს ამირანი, - თითქოს ძილში იმეორებს პატარა დედაკაცი და თვალებს ჰბლეტავს - "გენაცვალოს ამირანი... გენაცვალოს ამირანი".

და გულში თვითონაც უმატებს:

"გენაცვალოს სოფიო... გენაცვალოს ამირანი... გენაცვალოს სოფიო".

- მივედით. - სთქვეს აქეთ-იქიდან და წამოიშალნენ.

"ასე ადრე?" - ნანობს სოფიო და თვითონაც წამოდგება.

სადგური ხუთ წუთში დაცარიელდა. სოფიო და ამირანი სადგურის განიერ აივანზე სხედან, ცხელ ყავას სვამენ და გათენებას ელოდებიან.

უკვე ორი საათია. სათიბები და ტყით დაფენილი გორაკები მთვარის შუქით დავერცხლილა. ისეთი მყუდროება ჩამოწოლილა, რომ პატარა დედაკაცს და ამირანს ერთმანეთის სუნთქვაც კი ესმით.

- გავიაროთ. - სთქვა ამირანმა.

დიდ გზას დაადგნენ და წავიდნენ. ამირანმა მარჯვნივ გაიწია. იქვე გორაკზე ტყე იწყება. სოფიო ყოყმანობს.

- რა იყო, ხომ არ გეშინიან? - ეკითხება ამირანი.

- ტყეში?.. ეხლა?..

- მშვენიერია. ნამდვილი ზღაპარია.

სოფიო უსიტყვოდ მისდეგს. ასი ნაბიჯი გაიარეს და პირდაღებულ ტყეს მიადგნენ. თხელი ტყეა, მაგრამ მაღალი, ხალვათი, დაბურული და ღონიერი. შიგ ბნელი ჩრდილები და მთვარის შუქის სვეტები უცნაურად გადახლართულან.

სოფიო ისევ შესდგა და აყოყმანდა.

- ხომ არ გეშინიან, გენაცვალე? - ესმის ნაქმრევის ჩურჩული.

ეშინიან პატარა დედაკაცს?! ვისი, ტყისა თუ ამირანისა?! და უცებ გადასჭრის:

- შენთან, გენაცვალოს სოფიო? შენთან შიში? არა, არ მეშინიან, წავიდეთ.

ღონიერ მკლავზე ჩამოეკიდა და მტკიცე ხმით უთხრა:

- წავიდეთ.

და ნაქმრევი და ნაცოლარი ხალვათ ტყეს ღამის ლანდებივით შეერივნენ.

მიდიოდნენ და იდუმალი აჩრდილებივით ხან ბნელში იმალებოდნენ, ხან შევერცხლილზე გადიოდნენ.

მერმე ღრმად შევიდნენ და წყვდიადში შთაინთქნენ.

როცა უკანვე გამოვიდნენ, კოხტა გორის უკან უკვე მზე ამოსულიყო. სათიბებიდან და ხევ-ხუვებიდან ღამის ორთქლი იკრიბებოდა. ძროხების ბღავალი, ძაღლების ყეფა და მენახირეთა შეძახილი ტყეს აყრუებდა.

ორივე ხელით ამირანის მკლავზე ჩამოკიდებული პატარა დედაკაცი თავის თავს უცინის.

- რა იყო, პატარა ქალო, რად იცინი? - ეკითხება ნაქმრევი ქმარი.

- მაშ ხელმეორედ უნდა გადავიხადოთ ქორწილი? იხი-ხი! - სავსე გულით ხითხითებს ნაცოლარი ცოლი.

- ოხო-ხო! - ბანს აძლევს ამირანი, - ოღონღაც, ოღონდაც, ნამდვილი ქორწილი ეხლა უნდა გადავიხადოთ, ის კი...

და გაცოცხლებულმა ქმარმა სიტყვა ვეღარ დაასრულა.

პატარა დედაკაცი აღარ იცინის და აღარ იღიმება.

- ჰო, მართლა, ნამდვილი ქორწილი ეხლაღა გვექნება... მხოლოდ ეხლა იწყება ჩვენი სიყვარულიც და ბედნიერებაც... ის კი... რაც აქამდე მოხდა... ავი ლანდი იყო... ავი...

- ავი და ანჩხლი უჟმური იყო. წავიდა და აღარ დაბრუნდება.

- ჰო, აგრეა, აგრე... წავიდა და აღარ დაბრუნდება არასოდეს... არასოდეს აღარ დაბრუნდება.

და პატარა დედაკაცმა ფუნჩულა ხელით დიდი თვალებიდან პაწაწინა ცრემლი მოიწმინდა.